# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 4 მაისი 2002 №80 (1602) | ფასი 50 თეთრი


2 გორდას ომში ვარლამ კილასონია გაუძღვება



3 საქართველოს ნაკრებში თვრამეტი იაფვილი თამაშობს



ჟორჟიკაშვილი ვიდეოს ჩაუჯდა

7 მიეცით შირაკს!



პირესის ხმა ფეხია

15 გურჯაანის ჩამოსხმა



რევაზ მინდორაშვილი ევროპაში მესამეა



ლოკომოტიველი კახა გოგიჩაიშვილი (№9) და დინამოელი ალექსანდრე ამისულაშვილი საპასუხო მატჩშიც თავს არ დაზოგავენ

# ტორპედომ დინამოს საქმე გაუჭკეთა
## ლოკომოტივს ჯანო ლომა მოაკლო

ქართული თასის ნახევარფინალები დღეს ნახევარი ამბავია.

ჩემპიონი „ტორპედო" ბოლო დროს თავმომწონედ ველარ ყელყელაობს, ჯერ „დინამოსგან" დაიჯაბნა და ამან ისე გამოფიტა, რომ შინ „ლოკომოტივსაც" წააქცევინა თავი. დღეს კი სათასო მატჩია და მისი მეტოქე-მასპინძელი „ვიტ ჯორჯიაა". იმერეთში ვეტერინარებმა გაშვებულ ბურთს ვერ უპასუხეს. ისიც კია, რომ შარშანდელ ჩემპიონატში ვიტელებმა შინ სულაც 3:0 მოუგეს ქუთაისელებს, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" დღეს ის გუნდი აღარაა — „ტორპედო" მცხეთაში დღეს 0:3 არ წააგებს.

„ეროვნულზე" კი უჯანაშიოდ და ულომაიოდ გავა რკინიგზის გუნდი. მისი მეტოქე თბილისის „დინამოა", რომელსაც ჩემპიონობასთან ერთად დავით ყიფიანის სახელობის თასის აწევაც სწადია. ამისთვის „ლოკომოტივს" ორჯერ მაინც უნდა გაუტანოს. ან იქნებ, დამატებით დროსა და პენალტებზეც არ თქვას უარი. „ეროვნულზე" პროჟექტორები აინთება, მატჩი საღამოს რვა საათზე იწყება და ვინძლო, ქომაგმაც არ დაიზაროს წასვლა. თასის დღევანდელი ნახევარფინალურებიც ამიტომაა ნახევარი ამბავი — ძვალთამტვრევასა და ორომტრიალს „დინამო" — „ლოკომოტივი" თუ გასწვდება.

# გერმანია: ყველაფერი დალაგდება
# ესპანეთი: შეიძლება, დალაგდეს
# იტალია: MAMMA MIA ტრაპატონისთვის
# ინგლისი: ჯერ არსენალია

აი, ახლა გაირკვევა ჩემპიონთა ვინაობა, აი, ახლაო, ამ ახლას კი საშველი არ დაადგა. ევროპულმა ბობოლებმა ისე წაიყვანეს საქმე, ყველაფერი ბოლო ტურში უნდა გაირკვეს. მაგრამ ამ უქმეებზე გერმანიასა და იტალიაში ხომ სწორედ ბოლო ტურია და ერთი შეხედვით, ჩემპიონებიც უნდა გამოვლინდნენ, მაგრამ... არა, გერმანიაში რომ ახეც იქნება, წყალი არ გაუვა, იტალიისა კი რა მოგახსენოთ: თუ „ინტერმა" ფრედ ითამაშა, „იუვენტუსმაც" ვერ მოიგო, ხოლო „რომამ" გაიმარჯვა, არაფერიც გაირკვევა. იქაური სერიას წესებით ხომ თანაბარქულიანებმა უცილობლად უნდა გადაითამაშონ, რაკი ბურთების შეფარდებას, ურთიერთშეხვედრებს და მისთანებს ყურადღება არ ექცევა.

ბუნდესლიგაში კი... ისე დიდად ნუ გაიკვირვებთ, ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" რომ გახდეს, რისი ეჭვიც ბუნდესლიგის ბოლო ტურის ანონსის წაკითხვის მერე ეგებ გაგიჩნდეთ კიდეც. სეირი კი იქნება...

თუ იტალიასა და გერმანიაში დატრიალებული ამბებით ვიმსჯელებთ, არც ესპანეთში უნდა გაირკვეს რამე ბოლო ტურამდე. ყოველ შემთხვევაში, ეს „ვალენსიაზეა" დამოკიდებული. მოიგებს — ჩემპიონია, ვერ მოიგებს და, თავის თავს დააბრალოს.

ხოლო ინგლისში თასის ფინალია და ტურისთვის არ სცხელათ.

ქართველი ქომაგისთვის კი გამოსარჩევად ორი თამაშია. შოტლანდიის თასის ფინალში შოთა არველაძის „რეინჯერსი" მარადიულ მოქიშპე „სელტიკს" შეებმება და თუ გაისად ჩემპიონთა ლიგაში კახა კალაძის „მილანის" ნახვა გსურთ, კვირას უქომაგეთ „ლეჩეს" წინააღმდეგ.

იხილეთ მერვე - მეცხრე გვერდები



მართლმადიდებელ შოთა არველაძეს კათოლიკე რეინჯერების მხარდამხარ გლაზგოელი პროტესტანტების წინააღმდეგ შოტლანდიის ლიგის თასის ნახევარფინალშიც უთამაშია



ბუნდესჩემპიონობისთვის მებრძოლ ლევერკუზენელ ბრაზილიელ ლუსიოს დღეს თვისტომი ბერლინელი მარსელინიო გადაეღობება

# დავით ყიფიანის თასი

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

*თითობურთიანი უპირატესობით ესტუმრება „ლოკომოტივი" „ეროვნულს" და „ტორპედო" — „არმაზს". კიდევ ერთი დაძაბული 90 წუთის გადატანა მოუწევთ ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს. გამორიცხული არც ისაა, მცხეთასა და თბილისში ორი უძლიერესის გამოსავლენად დამატებითი დრო, ან კიდევ პენალტების სერიაც ვიხილოთ.*

*ოთხი ნახევარფინალისტიდან მხოლოდ „ვიტ ჯორჯია" ითამაშებს ძირითადი შემადგენლობით. „ტორპედოს", „დინამოს" და „ლოკომოტივს" ტრავმები და დისკვალიფიკაციები მოსძალებიათ.*

## საგანგებოდ ტორპედოსთვის

## იტალიური რეცეპტი: უეფას თასი

თბილისი. ეროვნული. 4 მაისი. 20 საათი

### დინამო — ლოკომოტივი

პირველი მატჩი 0:1

| |
|---|
| მსაჯები: კ. მქანი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშვეი (თბილისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო |
| დისკვალიფიცირებული: გ. ლომაია, ზ. ჯანაშია (ლოკომოტივი) |

*ივო შუშაკი, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:*

— „დინამომ" პირველი თამაში კი წააგო, მაგრამ, საბედნიეროდ, სათასო დუელი ორმატჩიანი სერიისგან შედგება. ვფიქრობ, გამარჯვებულის ბედი მატჩის ბოლო წამებამდე არ გაირკვევა და ქომაგიც სანახაობრივ ფეხბურთს იხილავს.

მე კარგად შევისწავლე „ლოკომოტივის" ძლიერი და სუსტი მხარეები და ვეცდები, მეტოქეს კონტრთამაში დავუპირისპირო. საწყენია, რომ ბურდულს, დარასელიას, მიქაძესა და ვაშაკიძეს ტრავმები აწუხებთ და მათი მოედანზე გასვლა საეჭვოა. როგორც ვიცი, ჩვენს მეტოქესაც აკლია წამყვანი მოთამაშეები და მაინც, სადღეისოდ შანსებს თანაბრად ვაფასებ.

*გია ჯიშკარიანი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*

— ჩვენ ერთბურთიანი უპირატესობით მივდივართ „ეროვნულზე" და მის შესანარჩუნებლად ყველაფერს გავაკეთებთ. მოვისაკლისეთ წამყვანი მოთამაშეები, თუმც „დინამოსაც" საკმაო პრობლემები დაჰგროვებია. ასე რომ, ამ მხრივ თანაბარ პირობებში ვართ. ფინალში მოხვედრის შანსი, მიუხედავად ჩვენი მცირე უპირატესობისა, მაინც თანაბარია.

მცხეთა. „არმაზი". 4 მაისი. 17 საათი

### ვიტ ჯორჯია — ტორპედო

პირველი მატჩი 0:1

| |
|---|
| მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); გ. ჩიქოვანი (სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე |
| დისკვალიფიცირებული: დიდავა (ტორპედო) |

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*

— ეს ერთი შანსი დაგვრჩა და უნდა გამოვიყენოთ. ამ თამაშის მოგებით შეიძლება უეფას თასის საგზური მოვიპოვოთ. ასე რომ დასათმობი არაფერი გვაქვს. „ტორპედოსთან" სათამაშოდ სპეციალური პროგრამით ვემზადებოდით. ამ პროგრამაში შედიოდა რუსთავის „გორდასთან" ჩემპიონატის მატჩიც. ალექსანდრე ინწკირველის გარდა ტრავმა არავის აწუხებს. დისკვალიფიცირებულიც არავინაა. მართალია, „ტორპედომ" ბოლო მატჩებში მარცხი იწვნია, თუმც ეს არაფერს ნიშნავს. მოსაგებად ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

*რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს" მწვრთნელი:*

— რა თქმა უნდა, ძალიან რთული მატჩი გველის. „ვიტ ჯორჯიას" უეფას თასზე სათამაშოდ ერთადერთი შანსი დარჩა და მთელ ძალ-ღონეს ჩვენთან თამაშს მოახმარეს. საპასუხო შეხვედრას მეკარე ტოგონიძე და ნახევარმცველები დიდავა და იონანიძე გამოტოვებენ. დიდავა „ლოკომოტივთან" მატჩისას მსაჯმა გააფრთხილა და დისკვალიფიცირებულია, ტოგონიძე და იონანიძე კი — ტრავმირებულნი. უპირატესობა ჩვენსკენაა, ქუთაისში ხომ 1:0 გავიმარჯვეთ. მეტოქეს გაუჭირდება ორბურთიანი სხვაობით მოგება. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ აღარ უნდა დავმარცხდეთ.



დინამოელი მიხეილ ბობოხიძე (მარცხნივ) და ლოკომოტიველი როინ ონიანი

# კაცია თადარიგში

## გორდას ომში კილასონია გაუძღვება

**ოთხშაბათს** მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან" წაგებული მატჩის შემდეგ „გორდას" და თენგიზ კაციას გზები გაიყარა. რუსთაველები უმტკივნეულოდ, სკანდალის გარეშე დაემშვიდობნენ თბილისელ მწვრთნელს. გუშინ კი ახალმა თავკაცმა „გორდა" პირველად ავარჯიშა. რუსთავული კლუბის ხელმძღვანელობამ უალტერნატივო არჩევანი გააკეთა — „გორდას" ვარლამ კილასონია გაწვრთნის.

უფროს კილასონიას რუსთაველებმა აქამდეც არაერთხელ სთხოვეს გუნდის გაძღოლა, მაგრამ ვარლამი შორს იჭერდა, ბოლოს კი უმწვრთნელოდ დარჩენილ გუნდს ვეღარ უგანა და სეზონის ბოლომდე დათანხმდა ტიტანიკივით ჩასაძირად განწირული „გორდას" გაძღოლას.

თენგიზ კაციას უსაყვედუროდ დაემშვიდობნენ რუსთაველები და ბევრსაც ვერ მოსთხოვდნენ, რადგან კაციას არცთუ სახარბიელო ვითარებაში უწევდა მუშაობა — რომ მოედნის რეკონსტრუქციის გამო გუნდს კარდაკარ უხდებოდა საშინაო მატჩების ჩასატარებლად სიარული.

„ვიტ ჯორჯიასთან" 1:4-ით წაგებული „გორდა" სატურნირო თვალსაზრისით რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. რუსთაველებს უშუალო კონკურენტებთან — „სამგურალთან" და „მეტალურგთან" სტუმრად უწევთ თამაში და ფეხის დაცდენის შემთხვევაში უმაღლეს ლიგას გამოეთხოვებიან. ამ ვითარებიდან გამოსასვლელი მცირე შანსის გამოყენება უკვე ვარლამ კილასონიას მარიფათზეა დამოკიდებული, რომელიც მეორე ფრონტზეც იბრძვის — რუსთავის საკრებულოს არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ კილასონიას რეპუტაციისა და მაღალი რეიტინგის გათვალისწინებით ეს ბრძოლა სირთულით ახლოსაც ვერ მივა საფეხბურთო ბატალიებთან. ვარლამს მართლაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება „გორდას" გადასარჩენად და ამისთვის მოედანზე გასვლასაც აპირებს — გუშინ თავადაც ივარჯიშა და შესაძლოა, ოთხშაბათს „სიონთან" მატჩში ერთი ტაიმიც ითამაშოს.

**ბაადურ ბზანტალიანი**



ვარლამ კილასონია

# სუხის მუხლი ნაუხდა

**უმაღლეს** ლიგაში დასარჩენად მებრძოლმა ზესტაფონის „მეტალურგმა" ბოლო ტურში შინ ბოლნისის „სიონის" 3:1 ძლევით სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა და ახლა გადამწყვეტი თამაშებისთვის ემზადება. იმერელთა სამწუხაროდ, მათ ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში გამოცდილი ნახევარმცველი გიორგი სუხიაშვილი ვერ დაეხმარება.

30 წლის სუხიაშვილი „მეტალურგის" შემადგენლობაში ბოლოხანს არ ჩანდა, მიზეზი ფეხბურთელის ტრავმა იყო. ის მენისკმა შეაწუხა და იძულებით ჩამოაშორა ფეხბურთს. გიორგიმაც მკურნალობა დაიწყო, თუმც ოპერაციას მაინც ვერ გადაურჩა და...

ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა. ახლა სუხიაშვილი სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და, როგორც თავად გვითხრა, ამ სეზონში თამაშს ვეღარ შეძლებს.

ერთ დროს ქუთაისის „ტორპედოს", წყალტუბოს „სამგურალისა" და ფოთის „კოლხეთის" ნახევარმცველი გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მისი კარიერის ყველაზე დიდი მიღწევა, სამიოდე წლის წინ „სამგურალთან" ერთად საქართველოს თასის ფინალში გასვლაა.

**კახა შალამბერიძე**

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XXXII ტური**

დიუსელდორფი 2:3 ბრაუნშვაიგი

**სამხრეთ რეგიონალლიგა. XXXII ტური**

დარმშტადტი 2:2 ზიგენი

ტრირი 1:0 შტუტგარტი (მ)

ბურგჰაუზენი 2:0 ფულდა

## ჩეხეთი

**XXIX ტური**

ჟიჟკოვი 2:1 იაბლონეცი

სიგმა 0:0 სლავია

პრშიბრამი 2:5 ბანიკი

ოპავა 0:2 ტეპლიცე

ლიბერეცი 3:3 ბრნო

სპარტა 2:0 ბოჰემიანსი

ბლშანი 2:1 სინოტი

დრნოვიცე 1:0 ჰრადეც კრალოვე

## თურქეთი

**XXXIV ტური**

გიოზთეპე 4:2 ტრაბზონსპორი

## იტალია

**სერია B. XXXIV ტური**

ჩიტადელა — მოდენა

6 მაისს გაიმართება

## შვედეთი

**V ტური**

მალმო 4:0 კალმარი

## რუსეთი

**პრემიერლიგა. X ტური**

ტორპედო ზილ 0:2 დინამო

## კალათბურთი

# ევროლიგა

**ოთხთა ფინალი. ნახევარფინალი. 3 მაისი**

პანათინაიკოსი 83:75 მაკაბი | ბენეტონი 82:90 კინდერი

ფინალი: პანათინაიკოსი — კინდერი



ბენეტონი — კინდერი. მასიმო ბულერის (მარცხნივ) „ბენეტონმა" სანი ბეჩიროვიჩის „კინდერს" ვერაფერი დააკლო

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი. XXXVIII ტური**

სტრასბური 1:0 ლე ავრი

ისტრი 1:0 სენტ ეტიენი

შატორუ 3:2 ვასკეალი

ნიორი 2:1 მარტიგი

ნანსი 1:0 აიაჩო

კაენი 3:2 გრენობლი

ნიმი 3:1 გენიონი

ბოვე 1:1 ამიენი

კრეტეი 1:0 ლე მანი

ლავალი 3:4 ნიცა

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი. XXXIV ტური**

ტელსტარი 3:0 ოსი

მაასტრიხტი 2:3 ემენი

ჰერაკლესი 4:1 ვეენდამი

იგლსი 3:2 ჰაარლემი

ვენლო 4:1 დენ ჰააგი

ვოლენდამი 3:1 როზენდალი

ექსელსიორი 1:0 ჰელმონდი

ეინდჰოვენი 4:2 ზვოლე

დორდრეხტი 3:1 კამბური

# საქართველოს ნაკრებში თვრამეტი იაშვილი თამაშობს

## ქორქიაშვილი ვიდეოს ჩაუჯდა



საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები ჯერჯერობით წარმატებით თამაშობს დანიის სტადიონებზე. ქართველმა ჭაბუკებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადალახეს და ახლა მეოთხედფინალისთვის ემზადებიან. კობა ქორქიაშვილის ოთხი გოლის გამტან და ჯერაც დაუმარცხებელ გუნდს ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე ელობება საფრანგეთ-პორტუგალიის დამმარცხებელი... ჩაგრავი შვეიცარია, რომელმაც თავისი ძალა ჯგუფურ ეტაპზე კი დაამტკიცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ქართველებს არ აშინებთ და ისინიც საბრძოლველად ჯბილებს ილესენ.

ამ მატჩისა და უკვე წარმატებით გავლილი ჯგუფური ეტაპის შესახებ ვესაუბრეთ, ნაკრების თავკაც კობა ქორქიაშვილს, რომელსაც გუშინ დანიაში დავუკავშირდით.

**— როგორ შეაფასებდით ჯგუფში ჩატარებულ შეხვედრებს?**

— სამივე მატჩი აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის იყო. სამივეს სხვადასხვანაირი დატვირთვა ჰქონდა და ჩვენთვის იოლი არც ერთი ყოფილა.

გერმანელებთან სადებიუტო თამაში იყო და ბიჭებს დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი აწვათ. მაგრამ, საბედნიეროდ, ამის გადალახვა შეძლეს და მეტოქეს არაფერი დაუთმეს. პოლონეთთან შედარებით თავისუფლად ვითამაშეთ, მაგრამ ბოლოს დასანანი შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. უნგრეთთან შეხვედრა სულ სხვა იყო. აუცილებლად მოგება გვჭირდებოდა და მიხარია, რომ ბიჭებმა ეს შეძლეს.

**— გერმანელებს რომ ვერ დაემარცხებინათ პოლონეთი, უნგრეთთან 2:1 მოგება საკმარისი არ იქნებოდა...**

— დიახ, ეს კარგად ვიცოდით და ვცდილობდით, დიდი ანგარიშით მოგვეგო, მაგრამ ბოლოს გერმანია — პოლონეთის შეხვედრაში გატანილი გოლი შეგვატყობინეს და ბიჭებს სიფრთხილისკენ მოვუწოდე. უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მთავარი ანგარიშის შენარჩუნება იყო. წინაალმდეგ შემთხვევაში, უნგრეთისთვის მესამე გოლის გატანა ჩვენთვის პრობლემა არ იქნებოდა. მით უმეტეს, დრო საკმარისი გვქონდა და უდიდეს უპირატესობას ვფლობდით.

**— პოლონეთთან და გერმანიასთან 1:0 იგებდით, მაგრამ ბოლოს მხოლოდ ფრეს დასჯერდით. რითი ახსნით ამ ფაქტს, ზედმეტი თავდაჯერებით, უყურადღებობით თუ სხვა მიზეზით?**

— თავდაჯერებას ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. ორივე მატჩში ვიგებდით და, ცხადია, მეტოქემ შემოგვიტია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სამწუხაროდ, ამ შეტევებს ვერ გავუმკლავდით და გაგვითანაბრეს. თუმცა ამ ორი მატჩით მაინც კმაყოფილი დავრჩი.

**— ლაშა ჭელიძის არყოფნა, ალბათ, დიდი დანაკლისია თქვენთვის...**

— რა თქმა უნდა. ლაშა ჩვენთვის უდიდესი ძალაა. მთელი დაცვა მასზე იყო აწყობილი და მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდა. ფაქტობრივად, დაცვა ხელახლა ავაწყვეთ. თან ეს ოფიციალურ მატჩებში გავაკეთეთ. ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა მცველებმა უმნიშვნელო შეცდომები დაუშვეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ლაშა ჭელიძე გუნდის კაპიტანი და ლიდერი იყო და მისი არყოფნა მაინც იგრძნობა.

**— გერმანელების გოლი მეკარის, ზვიად ჩალაძის შეცდომას მოჰყვა. თქვენც მომდევნო მატჩებში მეორე მეკარე, კახა ჯინჭარაძე გაამწესეთ ძირითად შემადგენლობაში...**

— ვფიქრობ, ამით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ჩალაძე ზედმეტად ნერვიულობდა და მისი შეცდომაც ამას მოჰყვა. ჰოდა, შანსი ჯინჭარაძეს მივეცი, მანაც გაამართლა. თუმცა ჯერაც არ ვიცი, რომელი იქნება შვეიცარიასთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში. ჩალაძის შეცვლა ბევრს არაფერს ნიშნავს.

**— სანდრო იაშვილზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— იაშვილი გუნდის ერთ-ერთი წევრია და სხვებისგან ვერ გამოვარჩევ. ჩემთვის თვრამეტივე ფეხბურთელი იაშვილია. სანდრო თავდამსხმელია და ვალდებულია, გოლი გაიტანოს, რასაც აკეთებს კიდეც. ამიტომ მისი გმირად მონათვლა გადამეტებულად მეჩვენება. მართალია, მან სამივე მატჩში გამოიჩინა თავი და ჩვენი წარმატების ერთ-ერთი შემოქმედია, მაგრამ იმის თქმა, რომ საქართველოს ნაკრები იაშვილის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა, არასერიოზულობა და დილეტანტიზმია. მის გარდა გუნდში კიდევ ჩვიდმეტი ფეხბურთელია, რომელთაც არანაკლები წვლილი მიუძღვით წარმატებაში. მათ გარეშე ხომ იაშვილი ვერას გახდებოდა. ასე რომ, ჩემი თხოვნა იქნება, სხვა ბიჭებსაც ნუ დავუკარგავთ შრომას.

**— მეოთხედფინალში შვეიცარიას ხვდებით. როგორ შეაფასებთ ამ გუნდს?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. როგორც ჩანს, საკმაოდ ძლიერი გუნდია. ახლა მათი თამაშის ფირს ველოდებით და იმედი მაქვს, ამ მხრივ პრობლემები არ შეგვექმნება. ენახავ, გავარჩევ, დადებით და უარყოფით მხარეებს შევაფასებ და ბიჭებსაც ამის მიხედვით დავარიგებ. შვეიცარიაზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ოთხი ნატურალიზებული იუგოსლაველი ჰყავთ ნაკრებში და ჯგუფში პორტუგალია და საფრანგეთი დაამარცხეს. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპის გადალახვა საქართველოს ნაკრებს შეუძლია?**

— რატომაც არა? შეუძლებელი არაფერია. ყველასთან შეიძლება თამაში და მოგება. თუ მაქსიმალურად მოვიკრებთ ძალას, შვეიცარიაც არ იქნება გამონაკლისი. ენახოთ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

**— ამ მატჩში ორი ყვითელი ბარათის გამო გოჩა ხოჯავა ვერ დაგეხმარებათ...**

— ხოჯავა ჩვენთვის დიდი ძალაა და დასანანია, რომ ის ვერ ითამაშებს. ეს კიდევ, დამატებითი თავსატეხია ჩემთვის.

**— სამაგიეროდ, გოგი ფიფიამ მოიხადა დისკვალიფიკაცია...**

— დიახ. ფიფია დაგვიბრუნდა, თუმც ეს ხოჯავას დანაკლისს მაინც ვერ აგვინაზღაურებს. მაგრამ ამაზე წუწუნი არ ღირს. ახლა მთავარია, მობილიზება მოვახერხოთ და მხოლოდ მეოთხედფინალურ მატჩზე ვიფიქროთ.

**ქახა შალამბერიძე**



ლაშა ჭელიძე

# დასავიწყებელი ისტორია და გასაფრთხილებელი რეალობა

## შვეიცარია

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებს 17-წლამდელთა გუნდი დაასწრებს. სწორედ კობა ქორქიაშვილის ბიჭები გაეჯიბრებიან წლეულს პირველად სანაკრებო დონეზე შვეიცარიელებს.

ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე კენჭისყრით ერგო ამ ქვეყნის ნაკრები, ქართველმა 17-წლამდელებმა კი დანიაში მეოთხედფინალში გაღწევით დაიჭირეს საქმე შვეიცარიელებთან.

ქართულ-შვეიცარიული საფეხბურთო ისტორია ერთობ მწირია, თუმც გამორჩეულიც, რადგან საქართველომ სანაკრებო დონეზე პირველი ოფიციალური მატჩი სწორედ შვეიცარიელებთან გამართა. ეს იყო 1993 წელს. მაშინ საერთაშორისო სარბიელზე ოფიციალური ნათლობა გაიოზ დარსაძის 16-წლამდელთა ნაკრებს ჰქონდა. ქართველი ყმაწვილები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ჩაებნენ. მათი მეტოქეები შვეიცარიელები და სლოვენიელები იყვნენ. ტურნირი შვეიცარიაში გაიმართა, ქართველებმა ორივე მეტოქესთან ერთნაირი ანგარიშით — 1:4 წააგეს. პირველი შეხვედრა კი სწორედ მასპინძლებთან დათმეს. მორიგი კავკასიურ — ალპური დაპირისპირება სამი წლის წინ შედგა, კვლავაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ოღონდ 18-წლამდელთა შორის. B ქვეჯგუფის მატჩებს, სადაც ქართველები გამოდიოდნენ, უელსმა უმასპინძლა. მასპინძელთა და შვეიცარიელთა გარდა ჩვენი მეტოქე აზერბაიჯანიც იყო. ის შესარჩევი ეტაპი ქართველმა 18-წლამდელებმა დღემდე არნახულად ჩააგდეს — სამივე მატჩში დამარცხდნენ, შვეიცარიელებთან ისევ 1:4 იყო. იმედია, ჩვენთვის უსიამოვნო ტრადიცია კვირას არ გაგრძელდება.

ქორქიაშვილის გუნდისთვის შვეიცარია რთული მეტოქე იქნება, მეტიც — მრისხანე. მარკუს ფრეის ჩვიდმეტწლამდელები ევროპაში დღესდღეობით ერთ-ერთი მოწინავენი არიან და შეკრული, მობილური გუნდის რეპუტაციით სარგებლობენ. დანიაში სულაც პორტუგალიის ნაკრები (რომელიც ნების მიერ სანაკრებო რანგში ტრადიციულად ძლიერია) ჩამოაშორეს საჩემპიონო რბოლას, ქვეჯგუფის ბოლო მატჩში მიუხედავად მოკრძალებული ანგარიშისა კი საფრანგეთსაც იოლად სძლიეს.

მარკუს ფრეი უფრო ხშირად გუნდს კლასიკური სქემით — 4-4-2-ით ათამაშებს. ამგვარი ტაქტიკით იბურთავეს შვეიცარიელებმა ზემოთ ნახსენებ მეტოქეებთან. გუნდს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, ყველა რგოლი მეტნაკლებად თანაბრად არის დაბალანსებული და ქართველებს მათი წინააღმდეგობის დასაძლევად დიდი ოფლისღვრა დასჭირდებათ.

**ბაატა ძგანტალიანი**



შვეიცარიის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| სვენ კიონიგი | 03.09.85 | აარაუ |
| დიეგო ვიორმლი | 13.09.85 | ციურიხი |
| **მცველები** | | |
| ტრანკუილო ბარნეტა | 22.05.85 | სენტ გალენი |
| არნო ბიოლე | 17.01.85 | ლოზანა |
| ანრი სიკუერა | 15.01.85 | ლუგანო |
| ფილიპ სენდერო | 14.02.85 | სერვეტი |
| მარკო მილოსავაცი | 19.10.85 | ციურიხი |
| რეტო ციგლერი | 16.01,86 | გრასჰოპერი |
| მიხაელ დიტელმი | 24.01.85 | ლუცერნი |
| სტეფან იტენი | 05.02.85 | გრასჰოპერი |
| **ნახევარმცველები** | | |
| იან ვერდონი | 11.02.85 | სიონი |
| ბობან მაქსიმოვიჩი | 10.10.85 | იანგბოისი |
| ჯონა პრისი | 09.03.85 | ლოზანა |
| სანდრო ბიოკი | 16.09.85 | ციურიხი |
| **თავდამსხმელები** | | |
| გორან ანტიჩი | 04.07.85 | ბაზელი |
| სლავიშა დუგიჩი | 17.01.85 | კრინსი |
| მარკო შნოული | 27.03.85 | ფრიბურგი |
| კრისტიან სკლაური | 30.03.85 | ვინტერთური |

მწვრთნელი: მარკუს ფრეი (03.02.52)

## შვეიცარია დანიაში

### B ჯგუფი

**28 აპრილი**

**შვეიცარია 3:1 უკრაინა**

1:0 სენდერო (4), 2:0 მილოსავაცი (5), 2:1 კოტენკო (35), 3:1 დუგიჩი (74)

შვეიცარია: კიონიგი, ბარნეტა, ბიოლე, სიკუერა, სენდერო, ვერდონი, მილოსავაცი, ციგლერი (დუგიჩი 53), პრისიგი, ბიოკი (ანტიჩი 77), შნოული (სკლაური 53)

სათადარიგონი: ვიორმლი, მაქსიმოვიჩი, იტენი, დიტელმი

მწვრთნელი: მარკუს ფრეი

გაფრთხილება: ვერდონი

მსაჯი: ზ. სზაბო (უნგრეთი)

**30 აპრილი**

**შვეიცარია 1:0 პორტუგალია**

1:0 მილოსავაცი (13)

შვეიცარია: კიონიგი, ბარნეტა, ბიოლე, სიკუერა, სენდერო, მილოსავაცი, ანტიჩი (შნოული 47), ციგლერი (სკლაური 38), მაქსიმოვიჩი (ვერდონი 64), ბიოკი, იტენი

სათადარიგონი: დუგიჩი, ვიორმლი, პრისიგი, დიტელმი

მწვრთნელი: მარკუს ფრეი

გაფრთხილება: ბარნეტა, მილოსავაცი

მსაჯი: ა. კელი (ირლანდია)

**2 მაისი**

**საფრანგეთი 1:2 შვეიცარია**

0:1 ბიორკი (23), 0:2 დუგიჩი (26), 1:2 ბრიუ (67)

შვეიცარია: ვიორმლი, სიკუერა, სენდერო, დუგიჩი (ანტიჩი 32), ვერდონი, მაქსიმოვიჩი (შნოული 57), პრისიგი (ბიოლე 78), ბიოკი, დიტელმი, იტენი, სკლაური

სათადარიგონი: კიონიგი, ბარნეტა, მილოსავაცი, ციგლერი

მწვრთნელი: მარკუს ფრეი

გაფრთხილება: სკლაური, იტენი

მსაჯი: ტ. ლაურსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |




# დღეს

პოი, პოი, პოი!

თუ დღეს მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი გახდა, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ გერმანიაში ჰოლივუდის ფილმებს აღარავინ უყურებს. ანდა, რად უნდათ ამ ფილმების ყურება, როცა ბუნდესლიგის ბოლო ტური ყოველგვარ მხატვრულ, მოგონილ, გათამაშებულ ფილმს სჯობს ხოლმე?

მესამე კვირაა გერმანიის ჩემპიონატი ვითარდება როგორც საუკეთესო სათავგადასავლო ფილმი და ფილმს იმით სჯობს, რომ ამბავი ნამდვილად, ცხოვრებაში ხდება და ნამდვილი დრამაც თამაშდება. ასე იყო შარშან და თუ წლეულსაც განცდათა უმძლავრესი აფეთქება განმეორდება, მაშინ უფრო თამამად ვიტყვი: კინოში იმიტომ არ დავდივარ, რომ ნამდვილ თავგადასავალს ბუნდესლიგაში ვხედავ.

დღევანდელ „სარბიელში" ბევრს ამოიკითხავთ ბუნდესლიგის ბოლო ტურის შესახებ. მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ თუ კვლავ „ბაიერნი" გახდა ჩემპიონი, პოი, პოი და პოი!

საერთოდ, ეს გიჟური შაბათია. გიჟური შაბათ-კვირაა ესპანეთშიც, იტალიაშიც. ინგლისში კი საერთოდაც თასის ფინალია, დუბლზე ნასულ „არსენალსა" და ატეხილ „ჩელსის" შორის. მაგრამ თუ თასია, სქოთები უნდა ვახსენოთ, რადგან თასისათვის ოლდ ფირმ დერბი თამაშდება და წლეულსაც ვერგაჩემპიონებულ „რეინჯერსს" ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებულ „სელტიკთან" ბრძოლა შეუძლია.

ვინ გაიხსენებს როდის მოიგო სკუდეტო „ინტერმა"? „რომამ" კი შარშან მოიგო. „ვალენსია" ექტორ კუპერის ხელში ორჯერ ზედიზედ გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში და ლიგა კი ვერ მოიგო. ახლა კი... ნუთუ, მადრიდის „რეალი" შეეცდება ორი დიდი ტიტული იპყრას?

ისეთი შაბათ-კვირა გამოდის, რომ მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატი არავის ახსოვს ნაკრების მწვრთნელების გარდა. არადა, იქამდე თვეზე ნაკლები დარჩა.

პოი, პოი, პოი!

ახლა იმაზე ფიქრი.

მაგრამ დღეს მართლაც საოცრად საფეხბურთო დღეა. საფეხბურთო დანები ილესება. ისე მოხდა, რომ ურთიერთობები ამ უქმეებზე ირკვევა. კიდევ რამდენი ფეხბურთელი დაშავდება და გამოაკლდება მსოფლიოს ჩემპიონატს? გამიგონია, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თერთმეტ ფეხბურთელს მოტყდა ფეხიო, ახლა წინდაწინ ტყდებათ. მოდი და ნუ მოგტყდება: ომია დიდ და პატარა ქალაქებში. ფეხბურთში ხომ დიდი და პატარა არ არსებობს? როგორც „კონკიაშია", ისე უნდა ვთქვათ — მთავარია, ძალიან მოინდომო.

ამ კვირაში კი, მიუხედავად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებისა, მეხსიერებაში ჩამრჩა ეპიზოდი. სახლში მივედი და ტელევიზორი ჩავრთე. ბურთი პენალტის ნიშნულზე იდო. მეკარე გადახტა და აილო. ეს იყო „ლოკომოტივის" ახალბედა მეკარე მანუჩარ ივარდავა, რომელიც იმ წუთს შევიდა მინდორზე ჩხუბიან, მღვრიე, არცთუ ფეხბურთიან, ალიაქოთიან თამაშში. აი, ამით არის საოცარი ფეხბურთი. ყველაზე არასაფეხბურთო ვითარებაშიც კი დაუვიწყარ ეპიზოდებს შობს.

პოი, პოი, პოი!



## შოტლანდიის ასოციაციის თასი. ფინალი

### დღეს. გლაზგო. „ჰემპდენ პარკი"

### სელტიკი VS რეინჯერსი

# ოლდ ფირმი

## მამაცთა დღე შოტლანდიაში



მენეჯერული მიმიკები: მარტინ ონილი და ალექს მაკლიში

## მარტინ ონილი: დავამოკლოთ ზაფხული
## ალექს მაკლიში: ომი და მშვიდობა

**„ჰემპდენ პარკზე"**, რომლისაც შოტლანდიელები ეროვნულ სტადიონსაც უწოდებენ, დღეს ჭეშმარიტად ეროვნული დღეა — ასოციაციის თასის ფინალში კათოლიკური „გლაზგო" და პროტესტანტური „რეინჯერსი" დაუპირდებიან.

წლეულს ეს სქოთური ბობოლები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ჩემპიონატში. აქედან ორჯერ სელტიკელებმა იმარჯვეს, ორჯერაც მშვიდობით გაიყარნენ გუნდები.

სამაგიეროდ, „რეინჯერსმა" ლიგის თასზე იყოჩაღა და დამატებით დროში ნახევარფინალიდან დაიყრინა კათოლიკები. იმ მატჩში შოთა არველაძეს პენალტი გააცუდა 1-1-ზე, ხოლო გამარჯვებისა ბერტ კონტერმანმა შეაგდო ოვერტაიმში.

ერთი სიტყვით, თუ სქოთურ პრემიერლიგაში „სელტიკმა" იპონით წააქცია „რეინჯერსი", სათასო ბატალიებში უპირატესობა ჯერაც „რეინჯერსის" მხარესაა.

ცხადია, გლაზგოური განაბი გუნდები საგანგებოდ ემზადებოდნენ დღევანდელი ფინალისთვის. „სელტიკმა" ჩემპიონატის ბოლო ტურში „ჰართსის" წინააღმდეგ ძირითადის ათი ფეხბურთელი დაასვენა და მაინც მოიგო 4:1. ხოლო „რეინჯერსმა" ხუთი ისეთი ფეხბურთელი შეუშვა „აბერდინთან", რომლებიც მანამდე ტრავმების გამო ისვენებდნენ და „აბერდინთან" უფრო სათამაშო პრაქტიკისთვის მოცდნენ — კრეგ მური, ბარი ფერგიუსონი, კლაუდიო კანიჯა, რონალდ დე ბური და შოთა არველაძე.

ალექს მაკლიშს, როგორც „რეინჯერსის" მენეჯერს, „სელტიკთან" ჯერ არ წაუგია — სელტიკელებმა ამ სეზონში მხოლოდ დიკ ადვოკაატის გაწვრთნილ „რეინჯერსს" აჯობეს ორჯერ.

„რეინჯერსში" მისულმა მაკლიშმა ერთი ჯილდო, ასოციაციის თასი, უკვე მიითვისა და ახლა სეზონურ დუბლს უმიზნებს, ისევე როგორც მარტინ ონილის „სელტიკი" — კათოლიკები უკვე გახდნენ შოტლანდიის ჩემპიონები.

წინა სეზონში ჩემპიონობაცა და შოტლანდიის ანუ ასოციაციის თასიც „სელტიკს" დარჩა, ასე რომ, ონილი დუბლებს ნაჩვევია.

„ჩვენ კარგი სეზონი გვქონდა, ცალსახად უკეთესი შარშანდელზე, თუმც ჯერ არ შეგვიძლია, ამით დავტკბეთ. მთავარი მიზანი ხომ პრემიერლიგის მოგება იყო, მაგრამ შოტლანდიის თასის მოპოვებით შეგვიძლია, მორიგი მიღწევა მივითვალოთ. წინა სეზონთან შედარებით მომატებული გვაქვს და შეგვიძლია ფინალში „სელტიკის" დამარცხება" — განაცხადა „რეინჯერსის" იტალიელმა მცველმა ლორენცო ამორუზომ, რომელიც შოტლანდიაში მოთამაშე ფეხბურთელებმა სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. „რეინჯერსის" კიდევ ერთი მცველი, ჰოლანდიელი არტურ ნუმანი კი ამბობს: „მთავარი პრიორიტეტი პრემიერლიგა იყო, მაგრამ ეს უკვე მოთავებული ამბავია. ჩვენთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია სეზონში მეორე თასის მოგება. ფინალურ მატჩზე შთამბეჭდავი ატმოსფეროს ველოდები."

სხვათა შორის, ნუმანის თამაში საეჭვოა, ისევე როგორც ორი ნახევარმცველის, ბერტ კონტერმანისა და სტეფან ჰიუზის — ისინი მთლად ჯანზე ვერ არიან.

სელტიკელთაგან ასეთივე დღეში არიან მცველი ბოდო ბალდე, ნახევარმცველი პოლ ლამბერტი და ფორვარდი კრის სატონი.

„ორივე გუნდისთვის დიდი მატჩია. ჩვენ გვადანაშაულებენ, რომ ცუდი სეზონი გვქონდა, მაგრამ თუ ამ ფინალს მოვიგებთ, ხალხი [illegible]" — ფიქრობს ალექს მაკლიში და არც გაემტყუნება.

„ოლდ ფირმი" — ასე ჰქვია ამ გუნდების ნებისმიერ მატჩს ნებისმიერ დონეზე, და ის, ცხადია, ნერვების განსაკუთრებული ლიტინით გამოირჩევა. „ოლდ ფირმის" მატჩებში ბევრია ხოლმე ყვითელ-წითელი ბარათები და ალექს მაკლიშმა ამაზეც ილაპარაკა: „ნებისმიერი მატჩის წინ ფეხბურთელებს წესრიგისკენ მოვუწოდებ. „სელტიკთან" ნათამაშევი ბოლო მატჩიც დაძაბული იყო და ჩემს ფეხბურთელებზე ეს ხანდახან მოქმედებდა. ეს ფინალი კი, ვფიქრობ, მშვიდობიანი იქნება და ფეხბურთელები თავს ხელში აიყვანენ. მაგრამ ჩვენ რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გვჭირდება ჟინი" — ორაზროვნად დაასრულა ნაუბარი „ჩაფართა" მენეჯერმა.

მაკლიშმა ზემონახსენებ ხუთ ფეხბურთელზეც ილაპარაკა და დასძინა, რომ მათი „ჰემპდენზე" თამაში ჯერ არ გადამიწყვეტიაო, თუმც რონალდ დე ბურმა ნამდვილად უნდა ითამაშოს. „გამოცდილება და ნიჭი ძალიან ბევრს ნიშნავს ასეთ მატჩებში" — უთქვამს მაკლიშს, როცა მას დე ბურის შესახებ დაეკითხნენ.

ერთი ნიუანსიც. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალი 15 მაისს სწორედ „ჰემპდენ პარკზე" ჩატარდება და სტადიონის მინდორს ამ მატჩისთვის საგანგებოდ ამზადებენ. „სელტიკის" მთავარსარდალმა მარტინ ონილმა ამასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და გუშინ საგანგებოდ მიაკითხა „ჰემპდენ პარკს", მაგრამ მერე...

— ამ დილით სტადიონზე მინდვრის სანახავად მივედით, სავარჯიშოდ კი არა, უბრალოდ, მინდვრის დასათვალიერებლად და ის საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. ხშირად ყოფილა, რომ მატჩები ცუდ მინდვრებს გაუფუჭებიათ. იმედია, ამ მხრივ არანაირი ექსცესი აღარ იქნება — დასძინა ონილმა და შემდეგ უშუალოდ მატჩს გადასწვდა — თუ წავაგებთ, ეს მხოლოდ ჩვენი კი არა, გულშემატკივრების გაწბილებაც იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის მთავარი ტიტული, პრემიერლიგა მოვიგეთ. გარდა ამისა, თუ წავაგებთ, წინ გრძელი ზაფხული გველის — „ოლდ ფირმი" ხომ ამ სეზონში მეტი აღარ ჩატარდება. ეს მართლაც და მკაცრი თამაში იქნება, მაგრამ მე ყოველთვის დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია მოგება. დიდებული რამ გამოვა, თუ ეს ფინალი ნამდვილ სპექტაკლს დაემსგავსება."

**დავით თაგარიშვილაძე**

# შოთა არველაძე:
## ვნერვიულობ, ნემსებზე ვზივარ და საკუთარ თავს ვუჯავრდები

*ერთობ შთამბეჭდავად დაიწყო თავისი პირველი სეზონი „რეინჯერსში" შოთა არველაძემ. თავდასხმაში მძაფრ კონკურენციას გაუძლო და გოლებიც ბლომად მიითვალა — პრემიერლიგაში 11, ლიგის და ასოციაციის თასებზე 3-3. საერთო ჯამში 17 გოლი 25 თამაშში.*

*მაგრამ სეზონის მეორე ეტაპი ტრავმის გამო, ფაქტობრივად, გაუცდა. შოთა სწორედ რომ შოტლანდიის თასის ნახევარფინალში დაშავდა მეორედივიზიონელ „ფორფართან". ქართველ რეინჯერსელს მარცხენა ფეხის კოჭი ისე ელრძო, რომ ტრავმას თავი დღემდე ვერ დააღწია.*

*სატელეფონო საუბარშიც პირველად ჯანმრთელობაზე დავეკითხეთ...*

— არ ვიცი რატომ, მაგრამ კოჭი კვლავ მტკივა, თან ძალიან. წესით ბოლო ტურის მატჩში „აბერდინთან" არ უნდა მეთამაშა, მაგრამ ალექს მაკლიშმა დამაძალა. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ პირისპირ, მაკლიშმა გუნდის ექიმსაც უხმო და დაიჟინა, „აბერდინთან" აუცილებლად უნდა გახვიდე სათამაშოდ, რადგან „სელტიკთან" ფინალისთვის მჭირდებიო. რაღა უნდა მექნა, გამაყუჩებელი ნემსების ზემოქმედების ქვეშ ვითამაშე. არადა, მანამდე რვა კვირა ხეირიანად არ მივარჯიშია. „აბერდინთან" მატჩიდან სამი დღის შემდეგ ქუნძულით ვარჯიში დავიწყე. გუნდის ვარჯიშში კი ეპიზოდურად ვერთვებოდი. ახლაც გამაყუჩებლებზე ვარ.

**— მერედა მაინც ითამაშებ ამ ფინალს?**

— მაკლიშს ვესაუბრე და გავარკვიე, რომ სასტარტოში არ ვიქნები. მერე კი ვნახოთ, რასაც მწვრთნელი გადაწყვეტს, ისე მოხდება. ალბათ, მეორე ტაიმში ვითამაშებ.

**— ექიმები რას გეუბნებიან, რატომ გაიწელა ასე ტრავმა?**

— ისინი ფაქტობრივად ვერაფერს ვერ მეუბნებიან და მეც ძალიან ანერვიულებული ვარ.

**— დე ბურიც არ არის მთლად გამოჯანმრთელებული, მაგრამ მაკლიში მას სასტარტოში დაყენებას უპირებს...**

— დე ბურს მაინცდამაინც დიდი პრობლემა არ აწუხებს — ფეხის ნეკა თითი ჰქონდა მოტეხილი.

**— როგორი გუნდია „სელტიკი", როგორ შეიძლება მისი დამარცხება?**

— „სელტიკი" უფრო დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი, ძალისმიერი გუნდია ეფექტური კონტრშეტევებით. „სელტიკს" ცენტრიდან არ უნდა ეთამაშო, იქ ძალიან ღონიერი, მაღალი ხალხი ყავს და სჯობს, ფლანგებიდან შეუტიო.

— ბოლო დროს ძალიან აქებენ „რეინჯერსის" მარცხენა გარემარბ პიტერ ლოვენკრანდსს, რომელმაც ამ სეზონში „სელტიკს" სამი გოლი გაუტანა...

— ის ძალიან სწრაფი ფეხბურთელია, რაკეტასავითაა. შედეგიანობით არ გამოირჩევა, მაგრამ „სელტიკს" მართლა უტანს გოლებს.

— ეს ფინალი „რეინჯერსისთვის" და შენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასოციაციის თასის ნახევარფინალში „სელტიკს" 11-მეტრიანი ვერ გაიტანე, ბურთი ხარიხს გაარტყი და ახლა ალბათ ერთი-ორად გსურს, „სელტიკს" გოლი გაუტანო.

— ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია. ისეთი ბრძოლა იქნება, რომ საფარი მარტო წვივზე კი არა, მთელ სხეულზე უნდა მიიმაგრო. რაც შეეხება პირადად მე... „ჰემპდენ პარკზე" დღეს ახალი მინდორი დააგეს და ჩვენც მის სანახავად გავედით. მე კი იმ პენალტის ნიშნულთან რამდენიმე წამით შევყოვნდი, საკუთარ თავს ვუჯავრდებოდი...

**დავით თაგარიშვილაძე**



შოთას მალაყი დაუძველდა

# შინაური ხუთეული

როტერდამის „ფეიენოორდმა" უეფას თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში 90-ე წუთზე გაუთანაბრა „პსვ ეინდჰოვენს" და პენალტების სერიაში გიორგი გახოკიძის გაფუჭებული დარტყმის წყალობით გაძვრა ნახევარფინალში, სადაც ინტერელი ივან კორდობას ავტოგოლით დაამარცხა ექტორ კუპერის გუნდი.

ამრიგად, „ფეიენოორდი" ფინალშია, რომელიც მისსავე მშობლიურ „დე კუიპზე" გაიმართება. ჰოდა, ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის გაკეთების იდეაც აქედან გაჩნდა: ევროთასების ისტორიაში როდის და რომელ გუნდებს უთამაშიათ ფინალი მშობლიურ გარემოში და რისთვის მიუღწევიათ; სადამდე გასულან ფინალის მასპინძელი ქვეყნის გუნდები. ეს ყველაფერი ცხრილშია, აქ კი ვთქვათ, რომ ფინალის შინ მოგებები გუნდი ხუთია: „რეალი", „ინტერი", [illegible] „ანდერლეხტი" და „ბარსელონა". [illegible] ერთი გუნდი, ვინაც ფინალის საკუთარ სტადიონზე წაგება მოახერხა, „რომა" გახლავთ.

ახევე ხუთმა გუნდმა ფინალის თავის ქვეყანაში მოგება შეძლო. ესენი „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული", „იუვენტუსი", „დორტმუნდი" და „ბაიერნი" არიან.

აქვე შევახსენებთ, რომ 1997-98 წლების სეზონამდე უეფას თასის ფინალი ორმატჩიანი იყო.

## ჩემპიონთა თასი

| სეზონი | ფინალის მასპინძელი | ქალაქის გუნდი | ქვეყნის გუნდი |
|---|---|---|---|
| 1955-56 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „სტადდე რეიმსი" ფინალში დამარცხდა „რეალთან" |
| 1956-57 | მადრიდი, ესპანეთი | „რეალმა" ჩემპიონთა თასი მოიგო | „ბილბაო" მეოთხედფინალში დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან" |
| 1957-58 | ბრიუსელი, ბელგია | გუნდი არ ყოლია | „ანტვერპენი" მერვედფინალში დამარცხდა „რეალთან" |
| 1958-59 | შტუტგარტი, გფრ | გუნდი არ ყოლია | „შალკე" მეოთხედფინალში დამარცხდა „ატლეტიკოსთან" |
| 1959-60 | გლაზგო, შოტლანდია | „რეინჯერსი" ნახევარფინალში დამარცხდა „აინტრახტთან" | |
| 1960-61 | ბერნი, შვეიცარია | „იანგ ბოისი" მერვედფინალში დამარცხდა „ჰამბურგთან" | |
| 1961-62 | ამსტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „ფეიენოორდი" მერვედფინალში დამარცხდა „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" |
| 1962-63 | ლონდონი, ინგლისი | გუნდი არ ყოლია | „იფსვიჩ თაუნი" მერვედფინალში დამარცხდა „მილანთან" |
| 1963-64 | ვენა, ავსტრია | „აუსტრია" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „გურნიკთან" | |
| 1964-65 | მილანი, იტალია | „ინტერმა" ჩემპიონთა თასი მოიგო | |
| 1965-66 | ბრიუსელი, ბელგია | „ანდერლეხტი" მეოთხედფინალში დამარცხდა „რეალთან" | |
| 1966-67 | ლისაბონი, პორტუგალია | „სპორტინგი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „ვაშაშთან" | |
| 1967-68 | ლონდონი, ინგლისი | გუნდი არ ყოლია | „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა თასი მოიგო |
| 1968-69 | მადრიდი, ესპანეთი | „რეალი" მერვედფინალში დამარცხდა „რაპიდთან" | |
| 1969-70 | მილანი, იტალია | „მილანი" მერვედფინალში დამარცხდა „ფეიენოორდთან" | „ფიორენტინა" მეოთხედფინალში დამარცხდა „სელტიკთან" |
| 1970-71 | ლონდონი, ინგლისი | გუნდი არ ყოლია | „ევერტონი" მეოთხედფინალში დამარცხდა „პანათინაიკოსთან" |
| 1971-72 | როტერდამი, ჰოლანდია | „ფეიენოორდი" მეოთხედფინალში დამარცხდა „ბენფიკასთან" | |
| 1972-73 | ბელგრადი, იუგოსლავია | გუნდი არ ყოლია | „ჟელეზნიჩარი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „დერბი ქაუნთისთან" |
| 1973-74 | ბრიუსელი, ბელგია | გუნდი არ ყოლია | „ბრიუგე" მეოთხედფინალში დამარცხდა „ბაზელთან" |
| 1974-75 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „სენტ ეტიენი" ნახევარფინალში დამარცხდა „ბაიერნთან" |
| 1975-76 | გლაზგო, შოტლანდია | „რეინჯერსი" მერვედფინალში დამარცხდა „სენტ ეტიენთან" | |
| 1976-77 | რომი, იტალია | გუნდი არ ყოლია | „ტორინო" მერვედფინალში დამარცხდა „მიონხენგლადბახთან" |
| 1977-78 | ლონდონი, ინლისი | გუნდი არ ყოლია | „ლივერპულმა" ჩემპიონთა თასი მოიგო |
| 1978-79 | მიუნხენი, გფრ | გუნდი არ ყოლია | „კიოლნი" ნახევარფინალში დამარცხდა „ნოტინგემ ფორესტთან" |
| 1979-80 | მადრიდი, ესპანეთი | „რეალი" ნახევარფინალში დამარცხდა „ჰამბურგთან" | |
| 1980-81 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „ნანტი" მერვედფინალში დამარცხდა „ინტერთან" |
| 1981-82 | როტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „ალკმაარი" მერვედფინალში დამარცხდა „ლივერპულთან" |
| 1982-83 | ათენი, საბერძნეთი | გუნდი არ ყოლია | „ოლიმპიაკოსი" მერვედფინალში დამარცხდა „ჰამბურგთან" |
| 1983-84 | რომი, იტალია | „რომა" ფინალში დამარცხდა „ლივერპულთან" | |
| 1984-85 | ბრიუსელი, ბელგია | გუნდი არ ყოლია | „ბევერენი" მერვედფინალში დამარცხდა „გიოტებორგთან" |
| 1985-86 | სევილია, ესპანეთი | გუნდი არ ყოლია | „ბარსელონა" ფინალში დამარცხდა „სტიაუასთან" |
| 1986-87 | ვენა, ავსტრია | „აუსტრია" მერვედფინალში დამარცხდა „ბაიერნთან" | |
| 1987-88 | შტუტგარტი, გფრ | გუნდი არ ყოლია | „ბაიერნი" მეოთხედფინალში დამარცხდა „რეალთან" |
| 1988-89 | ბარსელონა, ესპანეთი | გუნდი არ ყოლია | „რეალი" ნახევარფინალში დამარცხდა „მილანთან" |
| 1989-90 | ვენა, ავსტრია | გუნდი არ ყოლია | „ტიროლი" მერვედფინალში დამარცხდა „დნეპრთან" |
| 1990-91 | ბარი, იტალია | გუნდი არ ყოლია | „მილანი" მეოთხედფინალში დამარცხდა „მარსელთან" |
| 1991-92 | ლონდონი, ინგლისი | „არსენალი" მერვედფინალში დამარცხდა „ბენფიკასთან" | |
| 1992-93 | მიუნხენი, გფრ | გუნდი არ ყოლია | „შტუტგარტი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „ლიდს იუნაიტედთან" |
| 1993-94 | ათენი, საბერძნეთი | აეკ-ი მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „მონაკოსთან" | |
| 1994-95 | ვენა, ავსტრია | გუნდი არ ყოლია | „ზალცბურგმა" ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა |
| 1995-96 | რომი, იტალია | გუნდი არ ყოლია | „იუვენტუსმა" ჩემპიონთა თასი მოიგო |
| 1996-97 | მიუნხენი, გერმანია | გუნდი არ ყოლია | „დორტმუნდმა" ჩემპიონთა თასი მოიგო |
| 1997-98 | ამსტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „პსვ ეინდჰოვენმა" ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა |
| 1998-99 | ბარსელონა, ესპანეთი | „ბარსელონამ" ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა | „რეალი" მეოთხედფინალში დამარცხდა კიევის „დინამოსთან" |
| 1999-00 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „მარსელმა" და „ბორდომ" ჯგუფურ ეტაპზე ითამაშეს |
| 2000-01 | მილანი, იტალია | „მილანმა" მეორე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა | „ლაციომ" მეორე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა |
| 2001-02 | გლაზგო, შოტლანდია | „რეინჯერსი" საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდა „ფენერბაჰჩესთან"<br>„სელტიკმა" ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა | |

## თასების მფლობელთა თასი

| სეზონი | ფინალის მასპინძელი | ქალაქის გუნდი | ქვეყნის გუნდი |
|---|---|---|---|
| 1961-62 | გლაზგო, შოტლანდია | გუნდი არ ყოლია | „დანფერმლაინი" მეოთხედფინალში დამარცხდა „დოჟა უიპეშტთან" |
| 1962-63 | როტერდამი, ჰოლანდია | „სპარტა" პირველ ეტაპზე დამარცხდა „ლოზანასთან" | |
| 1963-64 | ბრიუსელი, ბელგია | გუნდი არ ყოლია | გუნდი არ ყოლია |
| 1964-65 | ლონდონი, ინგლისი | „ვესტ ჰემმა" მოიგო თასების თასი | |
| 1965-66 | გლაზგო, შოტლანდია | „სელტიკი" ნახევარფინალში დამარცხდა „ლივერპულთან" | |
| 1966-67 | ნიურნბერგი, გფრ | გუნდი არ ყოლია | „ბაიერნმა" მოიგო თასების თასი |
| 1967-68 | როტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „ბრედა" მერვედფინალში დამარცხდა „კარდიფ სიტისთან" |
| 1968-69 | ბაზელი, შვეიცარია | „ბაზელი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „ბარსელონასთან" | |
| 1969-70 | ვენა, ავსტრია | „რაპიდი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „პსვ ეინდჰოვენთან" | |
| 1970-71 | პირეოსი, საბერძნეთი | გუნდი არ ყოლია | „არისი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „ჩელსისთან" |
| 1971-72 | ბარსელონა, ესპანეთი | „ბარსელონა" მერვედფინალში დამარცხდა „სტიაუასთან" | |
| 1972-73 | სალონიკი, საბერძნეთი | პაოკ-ი მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „რაპიდთან" | |
| 1973-74 | როტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „ბრედა" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „მაგდებურგთან" |
| 1974-75 | ბაზელი, შვეიცარია | გუნდი არ ყოლია | „სიონი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „მალმიოსთან" |
| 1975-76 | ბრიუსელი, ბელგია | „ანდერლეხტმა" მოიგო თასების თასი | |
| 1976-77 | ამსტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „როდა" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „ანდერლეხტთან" |
| 1977-78 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „სენტ ეტიენი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან" |
| 1978-79 | ბაზელი, შვეიცარია | გუნდი არ ყოლია | „სერვეტი" მეოთხედფინალში დამარცხდა „ფორტუნასთან" |
| 1979-80 | ბრიუსელი, ბელგია | გუნდი არ ყოლია | „ბევერსხოტი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „როდასთან" |
| 1980-81 | დიუსელდორფი, გფრ | „ფორტუნა" მეოთხედფინალში დამარცხდა „ბენფიკასთან" | |
| 1981-82 | ბარსელონა, ესპანეთი | „ბარსელონამ" მოიგო თასების თასი | |
| 1982-83 | გიოტებორგი, შვედეთი | „გიოტებორგი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „დოჟა უიპეშტთან" | |
| 1983-84 | ბაზელი, შვეიცარია | გუნდი არ ყოლია | „სერვეტი" მერვედფინალში დამარცხდა „შახტიორთან" |
| 1984-85 | როტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „სიტარდი" მეოთხედფინალში დამარცხდა „ევერტონთან" |
| 1985-86 | ლიონი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „მონაკო" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „უნივერსიტატიასთან" |
| 1986-87 | ათენი, საბერძნეთი | გუნდი არ ყოლია | „ოლიმპიაკოსი" მერვედფინალში დამარცხდა „აიაქსთან" |
| 1987-88 | სტრასბური, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „მარსელი" ნახევარფინალში დამარცხდა „აიაქსთან" |
| 1988-89 | ბერნი, შვეიცარია | გუნდი არ ყოლია | „გრასჰოპერი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „აინტრახტთან" |
| 1989-90 | გიოტებორგი, შვედეთი | გუნდი არ ყოლია | „იურგორდენი" მერვედფინალში დამარცხდა „ვალიადოლიდთან" |
| 1990-91 | როტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „პსვ ეინდჰოვენი" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „მონპელიესთან" |
| 1991-92 | ლისაბონი, პორტუგალია | გუნდი არ ყოლია | „პორტუ" მერვედფინალში დამარცხდა „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" |
| 1992-93 | ლონდონი, ინგლისი | გუნდი არ ყოლია | „ლივერპული" მერვედფინალში დამარცხდა „სპარტაკთან" |
| 1993-94 | კოპენჰაგენი, დანია | გუნდი არ ყოლია | „ოდენსე" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „არსენალთან" |
| 1994-95 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „ოსერი" მეოთხედფინალში დამარცხდა „არსენალთან" |
| 1995-96 | ბრიუსელი, ბელგია | გუნდი არ ყოლია | „ბრიუგე" მერვედფინალში დამარცხდა „სარაგოსასთან" |
| 1996-97 | როტერდამი, ჰოლანდია | გუნდი არ ყოლია | „პსვ ეინდჰოვენი" მერვედფინალში დამარცხდა „ბრანთან" |
| 1997-98 | სტოკჰოლმი, შვედეთი | აი კ-ი მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „პრიმორიესთან" | |
| 1998-99 | ბირმინგემი, ინგლისი | გუნდი არ ყოლია | „ჩელსი" ნახევარფინალში დამარცხდა „მალიორკასთან" |

## უეფას თასი

| სეზონი | ფინალის მასპინძელი | ქალაქის გუნდი | ქვეყნის გუნდი |
|---|---|---|---|
| 1997-98 | პარიზი, საფრანგეთი | გუნდი არ ყოლია | „ოსერი" მეოთხედფინალში დამარცხდა „ლაციოსთან" |
| 1998-99 | მოსკოვი, რუსეთი | „დინამო" მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა „სოსიედადთან" | „როტორი" საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდა „ცრვენა ზვეზდასთან" |
| 1999-00 | კოპენჰაგენი, დანია | „ბრონდბიუ" პირველ ეტაპზე დამარცხდა „გრასჰოპერთან" | „ოლბორგი" პირველ ეტაპზე დამარცხდა „უდინეზესთან" |
| 2000-01 | დორტმუნდი, გერმანია | გუნდი არ ყოლია | „კაიზერსლაუტერნი" ნახევარფინალში დამარცხდა „ალავესთან" |
| 2001-02 | როტერდამი, ჰოლანდია | 8 მაისს „ფეიენოორდი" ფინალს ითამაშებს | „როდა" მერვედფინალში დამარცხდა „მილანთან" |

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## მასპინძელი ქვეყნები: კორეა იაპონია

# ოთხი რამ უყვარს იაპონელს

## მუშაობა, ბრინჯი, მუშაობა და ბრინჯი




იაპონიის პრემიერ-მინისტრ კოიძუმის მუშაობა, ბრინჯი და ფეხბურთი უყვარს

**უძველესი ლეგენდის** თანახმად, იაპონიის იმპერია ქრისტეს შობამდე 660 წელს, იმპერატორმა ჯუმიმ შექმნა.

პირველი დედაქალაქი, უკვე ქრისტეს აქეთ 710-ში, ქალაქი ნარე გახდა. მოგვიანებით, დედად ნაგაოკი აღიარეს, მას შემდეგ კი, 794 წელს, დედაქალაქობა კიოტომ იკისრა.

მეცამეტე საუკუნის შემმუსვრელებმა, მონღოლებმა, ერთი-ორჯერ სცადეს ამომავალი მზის ჩასვენება კუნძულებზე, მაგრამ ამაოდ.

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში პორტუგალიელმა მოგზაურებმა იაპონელებს ქრისტეს ცხოვრება გააცნეს და ცეცხლსასროლი იარაღითაც გააკვირვეს. სულ მალე პორტუგალიელებს დანიელებიც შეუამხანაგდნენ და იაპონიასთან ვაჭრობა გააჩაღეს.

მიწისძვრა, ამ გაზაფხულზე ძალიან რომ დააშინა თბილისელები, იაპონიის კუნძულების ხშირი სტუმარია. 1923-ში ულმობელმა მიწისძვრამ ტოკიო და იოკოჰამა გაანადგურა, თან 130 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ოცდაორი წლის შემდეგ აშშ-მ დაატრიალა საცოდაობა. 1945 წლის 6 აგვისტოს ხიროსიმაში ჩააგდო ატომური ბომბი, 8-ში კი ნაგასაკიში.

1995 წლის 17 იანვარს კიდევ ერთი ძლიერი მიწის რყევა მოხდა კობეში, რომელმაც 6 ათასი ადამიანი იმსხვერპლა, 35 ათასამდე კი დაჭრილ-დასახიჩრებული იყო. გამოწვეულმა ზარალმა 90 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ამდენი ნგრევა-განადგურების შემდეგ იაპონელმა ხალხმა ფუტკარივით იშრომა, შედეგი კი მთელი მსოფლიოს წინაშეა.

ამომავალი მზის ქვეყანაში ბუდისტები სჭარბობენ, თუმცა სინტოს მიმდევრებსაც ნახავთ. სინტო (ღმერთების გზა) ისეთი მიმდინარეობაა, რომელიც პიროვნულად არავის უქადაგია და ვერც წმინდა წიგნებში ამოიკითხავთ. კერპად შეიძლება გაიხადონ მზე, მთა, ხეთ ან სულაც ქვა. არც ეროვნული გმირების თაყვანისცემაა გამორიცხული.

სინტოიზმი თავის არსით ოპტიმისტური რელიგიაა. მის თანახმად, თავიდან ყველა ადამიანი კეთილია, მერე თურმე ავი სულები აბოროტებენ მათ. რიტუალთა უმეტესობაში საფუძვლად ადამიანისგან ამ ბოროტი სულების განდევნა ძევს, მსხვერპლთშეწირვით და ლოცვებით.

საქორწილო რიტუალიც სინტოიზმის წეს-ჩვეულებებით სრულდება.

საინტერესოა, რომ სინტოს მიმდევართა აზრით, სიკვდილი უდიდესი ბოროტებაა, ამიტომაც მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიაში ბუდიზმის გავლენა მეტად იგრძნობა. საერთოდ, როცა ბუდიზმი იაპონიაში გავრცელდა, სინტო და ბუდა, ასე ვთქვათ, შეეჯახნენ, მაგრამ მერე ჰარმონიულად შეეწყვნენ, თან ერთმანეთს ერთგვარად ავსებენ კიდეც.

იაპონიაზე თხრობისას, აბა, სუმო როგორ არ ვახსენოთ. ეს უპოპულარესი ბრძოლა უძველეს დროში იშვა და ღმერთების ბრძოლას უწოდებდნენ. ამჟამად წელიწადში ექვსი ტურნირი ტარდება, თითოეული მათგანი კი 15 დღის განმავლობაში გრძელდება. ექვსიდან სამს ტოკიო მასპინძლობს, დანარჩენებს — ფუკუოკა, ოსაკა და ნაგოი.

სუმისტები კარგად ნაკვები, საგანგებოდ დასუქებული კაცები არიან. წონის მოსამატებლად ისინი, ფაქტობრივად ჭამით და ძილით არიან დაკავებულნი. ამასთან ერთად ცხოვრობენ სპეციალურ სახლებში, სადაც უმკაცრესი კანონები მოქმედებს.

ასე, საგანგებოდ მომზადებული სუმისტები ტატამზე ერთი მიზნით გადიან. გააძევონ მეტოქე შემოხაზულ საზღვრებს გარეთ, ან ჩააქციონ თავიანთი ზემძლავრი სხეულის დაჯახებით. ყველაფერი ეს საკმაოდ მალე მთავრდება, ისევე როგორც სუმისტების სიცოცხლე, მათი ჯანმრთელობის გამო.

იაპონელები წლის განმავლობაში მრავალ ფესტივალს ატარებენ. მაგალითად, პირველი იაპონელი იმპერატორის კურთხევის დღე 11 თებერვალია და ეწყობა გრანდიოზული ზეიმი.

ეროვნულ დღესასწაულად ითვლება იმპერატორების დაბადების დღეებიც.

ცნობილია ასევე უკიმეტსურის ანუ თოვლის ფესტივალი, რომელიც საპოროში ტარდება და სამ დღეს გრძელდება. საახალწლო დღესასწაულს კი სოგატსტუ ჰქვია.

იაპონელები მარტივად, ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაცმულები დადიან, თან არც თავიანთი საქვეყნოდ სახელგანთქმული კიმონო და იუკატე ავიწყდებათ. კიმონო აბრეშუმისაა და საკმაოდ ძვირიც ღირს. მათ უფრო დღესასწაულებისას იცმევენ. ყოველდღიურად იშვიათად ვინმემ მოირგოს ტანზე.

იუკატე კი უფრო საზაფხულოა. იგი შხაპის მიღების შემდეგაც შიშველ სხეულზე შეგიძლიათ შემოიცვათ.

უძველესი ტრადიცია არსებობს ჩაის სმისა, რომელიც ვინმე შუკოს სახელთანაა დაკავშირებული. შუკოს მე-15 საუკუნეში მოუფიქრებია ჩაის ერთობლივად სმა, რომელსაც სადო ეწოდება. მასში შედის ყველაფერი, დაწყებული მომზადებიდან ბოლო ყლუპამდე. აი, ამ დროს მსმელთა უმეტესობა კიმონოშია გამოწყობილი. ჩვენს დროში ეს საქმე უფრო ჰობია, თუმცა ახალგაზრდები სპეციალურად დადიან მასწავლებლებთან, რომლებისგანაც ჩაის სმის რიტუალს და კულტურას ითვისებენ.

ფესვები ამ ტრადიციისა, როგორც ბევრი სხვისა, ბუდიზმისგან მოდის. მაგალითად, სიკვდილის შემდეგ ქვრივ ქალს კრემაციას უტარებდნენ, სტუმრები კი კრემატორიუმში სადილობდნენ. დაწვის შემდეგ ნათესავები, საჭმლის ჩხირებით მიცვალებულის ძვლებს იღებდნენ და ერთმანეთს აწვდიდნენ.

დაკრძალვები ახლაც ბუდისტური წესებით ტარდება, რომლებსაც უამრავი ხალხი ესწრება. თითოეული დაპატიჟებული დაახლოებით 20 ათას იენს გადაიხდის და სანაცვლოდ საჩუქარს იღებს.

ყუთს, რომელშიც ფერფლი ინახება, 35 დღის განმავლობაში სახლში აჩერებენ, მერე კი ბუდისტურ სასაფლაოზე მარხავენ.

დავანებოთ თავი სიკვდილს და იმაზე თუ რას მიირთმევენ იაპონელები, სანამ იმ ქვეყნად გაემგზავრებიან.

რა გასაკვირია, რომ წყლით გარშემორტყმული ქვეყანა ბლომად თევზს გეახლებათ, ისევე როგორც უამრავ წყალმცენარეებს. სუში — აი, იაპონელთა აზრით, უგემრიელესი ეროვნული კერძი. იგი მზადდება ბრინჯით, თევზით და არსებობს მრავალსახეობები. ბრინჯის მოყვანა ჯერ კიდევ 20 საუკუნის წინ დაიწყეს. იგი იქცა უმთავრეს საკვებად მთელი ქვეყნისთვის.

ბრინჯი იაპონიაში არის დილისა (ასო-გოხანი), შუადღისა (ხირუა-გოხანი) და სადამოსი (იუ-გოხანი), ანუ დღის განმავლობაში სხვადასხვანაირად მზადდება. არსებობს შემწვარიც (ჩახანი), რომელშიც წვრილად დაჭრილ მოხარშულ კვერცხს უმატებენ, მოკლედ, ბრინჯი იყოს და იაპონიას არა გაუჭირდება რა.

სულ სხვა რამაა — შაშიმი, რაც ზოგადად ცოცხალ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თევზს და ქორფა წყლის მწვანილებს ჰქვია. უკეთესია ის, რომელიც უფრო ახალია. იაპონელებს გამორჩეულად მოსწონთ სკუმბრია და ორაგული. ცოცხალ თევზს ან წყალმცენარეს სოიოსგან დამზადებულ საწებელაში ამოვლებულს მიირთმევენ.

დასაყოლებლად, რა თქმა უნდა, ბრინჯის არაყი საკე (ნიხონშუ) გამოდგება. მას ცივსაც ყლურწავენ და ცხელზეც არ ამბობენ უარს.

იაპონელებს ისე უყვართ მუშაობა, რომ მათგან უმეტესი კუთვნილ შვებულებაზე უარს ამბობს და შრომით ისვენებს. ამიტომაც აქვს იაპონელ მუშას მსოფლიოში ყველაზე მეტი ანაზღაურება. ამ მაჩვენებლით იგი თვით ამერიკელსაც კი სჯობნის.

მთავარი როლი ნამდვილ აღმშენებლობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ ითამაშა. 50-იანი წლების შუაში ქვეყანა ომამდე არსებულ დონეზე დავიდა, 60-იანების დასაწყისში კი ისეთი ტემპებით ვითარდებოდა, რომ ბოლოს კაპიტალისტური სახელმწიფოები პირღია დატოვა.

ამ დროისთვის იაპონური პროდუქცია, ცხადია, ვერ იყო მაღალი ხარისხის, მაგრამ ათიოდ წელიწადში (1970-80) იაპონურმა საათებმა, ტელევიზორებმა და ავტომობილებმა მთელი მსოფლიო წალეკეს.

მძიმე მრეწველობის განვითარებამ ბევრს თევზის ჭერა მიატოვებინა და ქარხნებში სამუშაოდ გადაინაცვლეს.

ელექტრონაწარმი ხარისხით იაპონური რომ სჯობს, მსოფლიოს ბაზარმა მალე იგრძნო.

ავტომობილების წარმოებაში 8 მილიონამდე კაცია დასაქმებული.

რა თქმა უნდა, იაპონიაში ცხოვრების დონე მაღალია, ტექნიკამაც მწვერვალებს უწია, მაგრამ თევზისა და ბრინჯის ჭამით ფეხბურთშიც თუ ასე წაიწიეს, ზოგიერთ ქვეყანას, ვინძლო, ეროვნული კერძების შეცვლაც მოუწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**



იაპონია სუმოს ქვეყანაა



ფინალის მასპინძელი იოკოჰამას სტადიონი ქალაქის უკეთესმხრეგე ნაწილშია





რობერ პირესმა სილვენ ვილტორდს ხელი ძმურად გადახვია

# მიეცით შირაკს! პირესის ხმა ფეხია

**რობერ პირესმა** ერთ ფრანგულ გაზეთს უთხრა, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალისტი ლე პენი გაიმარჯვებს, ნაკრების რამდენიმე წევრი მსოფლიოს ჩემპიონატზე პროტესტის ნიშნად არ გაემგზავრებაო. თავად პირესი, მოგეხსენებათ, მუნდიალს ლე პენის გამარჯვების გარეშეც გამოტოვებს, დაშავებულია.

არაფრანგული წარმომავლობის „მამლების" მიმართ ფრანგმა ულტრანაციონალისტმა თავისი პოზიცია ადრევე გამოხატა. ლე პენის აზრით, ნაკრებში მხოლოდ ნაღდმა ფრანგმა უნდა ითამაშოს, ხოლო საფრანგეთმა სხვა ევროპელ ქვეყნებთან სავიზო რეჟიმი გაამკაცროს, ამასთანავე უნდა გართულდეს მოქალაქეობის მიღების სისტემა და ასე შემდეგ.

„ჩვენ ფრანგები ვართ, მართალია, ბევრი ჩვენგანი წარმოშობით სხვა ქვეყნიდანაა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ძალიან მძიმე იქნება ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ბევრი ფეხბურთელი ლე პენის გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატს პროტესტის ნიშნად გამოტოვებს" — განაცხადა „არსენალის" ნახევარმცველმა და ხალხს მოქმედი პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის მხარდამჭერისკენ მოუწოდა.

ცნობისთვის, ლე პენმა არჩევნების პირველ ტურში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ლეონელ ჟოსპენი დაამარცხა და მეორეშიც ამომრჩეველების 18-დან 25 პროცენტამდე უჭერს მხარს. თუმცა საფრანგეთის პრეზიდენტს 75 პროცენტი უჭერს მხარს და, ალბათ, პირესის მუქარასაც ასრულება არ უწერია.







პოლიციამ ვერც ცხენით და ვერც უცხენოდ ხალხი ვერ დააშოშმინა

# ცხენი კაცსა შემოუვტყორცნე

**ინგლისის** პირველ დივიზიონში „მილუოლსა" და „ბირმინგემს" შორის საპლეიოფო მატჩი, ფანების პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. არეულობის მოთავენი მასპინძელი, „მილუოლის" გულშემატკივრები გახდნენ. საქმე ის არის, რომ ლონდონურმა კლუბმა „ბირმინგემთან" პრემიერლიგაში გადასასვლელი საპლეიოფო მატჩი 0:1 წააგო და პრემიერლიგაში გადასვლის ოცნებასაც გამოემშვიდობა.

პოლიციამ ჯერ კიდევ თამაშის მსვლელობისას დააკავა რამდენიმე თავზეხელაღებული მოჩხუბარი, თუმცა ნამატჩევს ვითარების გაკონტროლება მაინც გაჭირდა. ლონდონელებმა მოედანზე სხვადასხვა საგნების სროლას მიჰყვეს ხელი და აურზაური ქუჩებშიც გააგრძელეს. „მილუოლის" ფანობა ვიტრინებსა და მანქანებს დაერია. პოლიციას კი დამატებითი ძალების გამოძახება მოუხდა.

ყველაფრის საბოლოოდ ჩაწყნარებამდე ბირმინგემელი გულშემატკივრები ტრიბუნებზე ერთი საათით შეაყოვნეს და ავტობუსებამდე პოლიციის ესკორტით მიაცილეს.

საერთოდ, „მილუოლის", ფანების აგრესიულობა ცნობილია. თუმც ინგლისური პრესის ინფორმაციით, მათი ახლანდელი გამოხდომა ბოლო 7 წლის განმავლობაში ყველაზე უფრო მასშტაბური იყო.

ფანების პოლიციასთან შეტაკება ამით არ დასრულებულა. მესამედივიზიონელი „კარდიფის" მხარდამჭერებმა იანვარში „ლიდსთან" ასოციაციის თასზე მატჩის დროსაც ხომ „გამოიჩინეს" თავი, ამჯერად კი აურზაური „სტოკთან" ზედა დივიზიონში გადასასვლელი პლეი ოფის წაგებისთვის ატეხეს.

**სერგი ჭორიძე**

# არის შანსი! მაკმანამანი სიხარულის ნაკრებში

**ინგლისის ნაკრების** მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა მადრიდის „რეალის" ნახევარმცველ სტივ მაკმანამანს იმედი ჩაუსახა, როცა თქვა, არ გამოვრიცხავ, მაკმანამანი მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე წავიყვანოო. შვედი თავკაცი ხუთშაბათს აპირებს სრული, 23-კაციანი შემადგენლობის გამოცხადებას, ნაკრების ძირითადი ბირთვი კი ადრევე დაასახელა.

მოგეხსენებათ, ერიკსონს კარგა ხანს დავიწყებული ჰყავდა რეალელი, მაკმანამანი ბოლო რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაშიც არ გამოიძახა.

ახლა, როცა მაკმანამანის, მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა, ფეხბურთელი ერიკსონის თვალთახედვის არეში კვლავ მოხვდა. „ინგლისის ნაკრებში ნებისმიერი კანდიდატი შეიძლება მოხვდეს. სტივის „ბარსელონას" წინააღმდეგ თამაში ვნახე. მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს. საბოლოო შემადგენლობას 9 მაისს გამოვაცხადებ" — თქვა ინგლისელთა თავკაცმა.

თავად ფეხბურთელმა განაცხადა: „არ დავნებებულვარ და ყოველთვის მჯეროდა, რომ ნაკრებში დაბრუნების შანსი კვლავ მომეცემოდა. თავად ერიკსონთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ის თავისი საქმის ჩინებული მცოდნეა. მეამაყება, ყველა იმ მატჩის გამო, რომელიც ინგლისის ნაკრების მაისურით ჩამიტარებია და იმედი მაქვს, წინ უფრო სასიხარულო დღეები მელის".

თუ ერიკსონმა მაკმანამანი ნაკრებში იხმო, მას, ალბათ, შეტევის მარცხენა ფლანგზე ათამაშებს, ეს პოზიცია ახლა ყველაზე სუსტად ითვლება ინგლისელთა ნაკრებში, რაც ბოლო ამხანაგურმა მატჩებმაც დაამტკიცა. ცნობისთვის, ხსენებულ პოზიციაზე შვედ მწვრთნელს რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავს შეგულებული — ნიუკასლელი კირონ დაიერი და „ვესტ ჰემის" დუეტი, ჯო კოული და ტრევორ სინკლერი.

**ნიკა შუბლაძე**




„ბარსელონასთან" თამაშში სტივ მაკმანამანს სანაკრებო შანსი გაუჩინა



კრისტიან კარამბუ ცოლითაც არის ცნობილი

# სურვილი ღონიერია, ლემერი გონიერია

საფრანგეთის ნაკრებისა და ბერძნული „ოლიმპიაკოსის" მცველი კრისტიან კარამბუ საბერძნეთის თასის ფინალში დაშავდა და ეგებ მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვოს. ამ ცნობას გუშინწინდელ „სარბიელშიც" წაიკითხავდით, ხოლო გუშინ გამცნეთ, რომ „მამლების" მთავარმა ექიმმა ჟან-მარსელ ფურემ ჟურნალისტებს ფეხბურთელის დაშავების დეტალები დაუმალა, რადგან საფრანგეთში მიღებული ახალი კანონით, ეს სამედიცინო საიდუმლოებაა.

ტრავმის თაობაზე თავად კარამბუ გაზეთ LA PARISIEN-ს ესაუბრა.

**— რამდენად სერიოზულია თქვენი ტრავმა?**

— მაღალი კლასის ფეხბურთელისთვის ყველა ტრავმა სერიოზულია.

**— როგორ ფიქრობთ, ითამაშებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— მე ოპტიმისტი ვარ, რადგან ასეთად დავიბადე. პირველი გასინჯვის შემდეგ არც ისე საგანგაშო დიაგნოზი დამისვეს, მერე კი პირიქით, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ყველანაირი შანსი გამომირიცხეს. მე კი შევეცდები, კარგად ვიმკურნალო და მალე მოვმჯობინდე.

**— ეცდებით, დროს გაუსწროთ?**

— დიახ, საფრანგეთის ნაკრების ექიმთა ხელშეწყობით. ამ მომენტისთვის მე სიმშვიდე მჭირდება.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს თუ ვერ შეძლებთ, როგორ შეხვდებით ამ ამბავს?**

— ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდეს შევინარჩუნებ. ვითამაშებ თუ არა, ამას საბოლოოდ გამოჯანმრთელების შემთხვევაშიც მწვრთნელი გადაწყვეტს. ახლა კი მხოლოდ ექიმების პასუხს ველოდები.

**— ექიმთა საბოლოო გადაწყვეტილებას როდის გაიგებთ?**

— ერთი კვირის შემდეგ. იქნებ საოცრებაც მოხდეს და...

**— როგორ შეხვდა ამ ამბავს როჟე ლემერი?**

— ვიცი, რომ იგი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ ნაკრებში ტრავმის გამო არ მიმიწვევს, ლოგიკური იქნება.

## ფეხბურთის რუკასთან



**იაპონიის** ნაკრების დამრიგებელი ფილიპ ტრუსიე, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ინგლისურ „არსენალში" აპირებს გადასვლას. გარდა „მეთოფეებისა", ტრუსიეს აშშ, კანადა, ლუქსემბურგი, ვიეტნამი, განა და რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბი ეპატიჟება.

**ინგლისის** ნაკრების მცველი რიო ფერდინანდი „ლიდსის" წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ ალან სმიტი აღიარეს, რომელმაც გამოკითხვაში შარშანდელ გამარჯვებულ პოლ რობინსონს გაუსწრო. საუკეთესო გოლად ავსტრალიელი მარკ ვიდუკას „ნიუკასლთან" გატანილი დაასახელეს. საზეიმო ბანკეტზე კლუბის პრეზიდენტმა პიტერ რიდსდეილმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში „ლიდსი" წლევანდელზე გაცილებით უკეთ ითამაშებს.

**ტუნისის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 9 მაისს ფრაიბურგში გერმანიის ნაკრებს ესტუმრება, 17-ში კი ქუვეითს შეხვდება.

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ოლიმპია (პარაგვაი) 2:1 კობრელოა (ჩილე) (2:0)

1:0 ბენიტესი (23), 2:0 ბაესი (45), 2:1 ჩანობიო (48)

გრემიო (ბრაზილია) 4:0 რივერ პლეიტი (არგენტინა) (2:1)

1:0 მენდესი (40), 2:0 ლუიზაო (45), 3:0 ზინიო (69), 4:0 ლუის მარიო (76)

ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 0:0 ნასიონალი (ურუგვაი) (0:1)

### მეოთხედფინალის წილისყრა

სან კაეტანო (ბრაზილია) — პენიაროლი (ურუგვაი)

მონარკას მორელია (მექსიკა) — ამერიკა (მექსიკა)

გრემიო (ბრაზილია) — ნასიონალი (ურუგვაი)

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — ოლიმპია (პარაგვაი)

პირველი მატჩები გაიმართება 8 მაისს, საპასუხოები — 15 მაისს

# იტალია

პაპუნა კელია

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| კიევო | - | ატალანტა |
| ბრეშა | - | ბოლონია |
| პერუჯა | - | ფიორენტინა |
| ლაციო | - | ინტერი |
| უდინეზე | - | იუვენტუსი |
| მილანი | - | ლეჩე |
| ტორინო | - | რომა |
| პარმა | - | ვენეცია |
| პიაჩენცა | - | ვერონა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 33 | 20 | 9 | 4 | 60:31 | 69 |
| იუვენტუსი | 33 | 19 | 11 | 3 | 62:23 | 68 |
| რომა | 33 | 18 | 13 | 2 | 57:24 | 67 |
| მილანი | 33 | 13 | 13 | 7 | 44:33 | 52 |
| ბოლონია | 33 | 15 | 7 | 11 | 40:37 | 52 |
| კიევო | 33 | 13 | 12 | 8 | 55:51 | 51 |
| ლაციო | 33 | 13 | 11 | 9 | 46:35 | 50 |
| ატალანტა | 33 | 12 | 9 | 12 | 40:48 | 45 |
| ტორინო | 33 | 10 | 13 | 10 | 37:38 | 43 |
| პერუჯა | 33 | 12 | 7 | 14 | 36:46 | 43 |
| პარმა | 33 | 11 | 8 | 14 | 41:46 | 41 |
| უდინეზე | 33 | 11 | 7 | 15 | 41:50 | 40 |
| პიაჩენცა | 33 | 10 | 9 | 14 | 46:43 | 39 |
| ვერონა | 33 | 11 | 6 | 16 | 41:50 | 39 |
| ბრეშა | 33 | 8 | 13 | 12 | 40:52 | 37 |
| ლეჩე | 33 | 6 | 10 | 17 | 36:53 | 28 |
| ფიორენტინა | 33 | 5 | 7 | 21 | 29:61 | 22 |
| ვენეცია | 33 | 3 | 9 | 21 | 29:59 | 18 |


რონალდო და კუპერი სკუდეტოსთან დგანან

ხვალ, 5 მაისს, იტალიის ჩემპიონის წოდების მოპოვება შეუძლია სამ გუნდს: „ინტერს", „იუვენტუსს" და „რომას".

**„ინტერი" ჩემპიონი გახდება იმ შემთხვევაში თუ:**

1) დაამარცხებს რომში „ლაციოს".
2) ფრედ ითამაშებს რომში „ლაციოსთან", „იუვენტუსი" და „რომა" კი ვერ მოიგებენ.
3) დამარცხდება რომში „ლაციოსთან", „რომა" ვერ მოიგებს, „იუვენტუსი" კი წააგებს.
4) „ინტერი", „იუვენტუსი" და „რომა" წააგებენ.

**„იუვენტუსი" ჩემპიონი გახდება თუ:**

1) დაამარცხებს უდინეში „უდინეზეს", „ინტერი" კი ვერ მოიგებს.

**„რომა" ჩემპიონი გახდება თუ:**

1) დაამარცხებს ტურინში „ტორინოს", „ინტერი" წააგებს, „იუვენტუსი" კი ვერ მოიგებს.

**ჩემპიონის გასარკვევად დაინიშნება შეხვედრა თუ:**

„ინტერი" წააგებს, „იუვენტუსი" კი ფრედ ითამაშებს. (ამ შემთხვევაში შეხვდებიან თანაბარქულიანი „ინტერი" და „იუვენტუსი")

„ინტერი" წააგებს, „რომა" მოიგებს, „იუვენტუსი" წააგებს (ამ შემთხვევაში შეხვდებიან თანაბარქულიანი „ინტერი" და „რომა")

თუ პლეი ოფში შეხვდებიან „ინტერი" და „იუვენტუსი", დაინიშნება ერთი თამაში ნეიტრალურ მოედანზე. მიზეზი „იუვენტუსი" იტალიის თასის ფინალშია და ზედმეტი შეხვედრის გამო „ინტერთან" უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

თუ პლეი-ოფში შეხვდებიან „ინტერი" და „რომა", დაინიშნება ორი მატჩი, ერთი მილანში, მეორე რომში.

## გაყავი და იჩემპიონე

### ინტერმა რომას რომი აუმხედრა

**ერთი სიტყვით,** თუ „ინტერი" „სტადიო ოლიმპიკოზე" „ლაციოს" დაჯაბნის, დამთავრებული საქმეა — ჩემპიონი გახდება ანუ „შავლურჯების" ბედი მათ შავ-ლურჯ ხელშია. თუმცა, არის კიდევ ერთი მომენტი: ზემოთ, ჩვენ განვიხილეთ ვარიანტი, თუ როგორ უნდა გახდეს ჩემპიონი „რომა". შეგახსენებთ, ამისთვის აუცილებელი პირობაა „ლაციომ" „ინტერი" დაამარცხოს ან ფრედ მაინც ეთამაშოს, რათა დაინიშნოს პლეი ოფი, სადაც „რომა" „ინტერს" შეხვდება. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ „ლაციომ" თავის ისტორიულ მოქიშპეს, თანაქალაქელ „რომას" სკუდეტოს მოპოვებაში უნდა შეუწყოს ხელი, რაც ლაციუმში დიდ ცოდვად ითვლება და სწორედ ეს შეახსენა „ინტერის" ურუგვაელმა ვარსკვლავმა ალვარო რეკობამ ხვალინდელ მეტოქეს. მეტიც, რეკობამ ასეთი არგუმენტიც მოიშველია: „მილანის" ჩემპიონობა ჩვენს ხელში რომ იყოს, როგორ ფიქრობთ, რას ვიზამდითო.

მაშ ასე, ხვალ „სტადიო ოლიმპიკოზე" „ინტერის" 40 ათას ქომაგს ელიან და რას ელიან ეს ქომაგები? სკუდეტოს, რომელიც მათ ჯოვანი ტრაპატონის მწვრთნელობის ანუ 1988-89 წლების სეზონის შემდეგ აღარ უნახავთ. უკიდურესად შემართულია „ინტერის" სუპერბომბარდირი კრისტიან ვიერიც. იგი ხვალ ზემონდომებით შეუტევს იმ გუნდის კარს, რომელიც 1999 წელს დატოვა — მასში მილანელებმა 49 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ვიერის მეწყვილე კი რონალდო იქნება. გეუბნებათ რამეს — რონალდო „ოლიმპიკოზე" „ლაციოს" წინააღმდეგ? თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი 2000 წლის 12 აპრილს მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ მოედანს სწორედ ამ სტადიონზე, ამ გუნდის წინააღმდეგ დაუბრუნდა... რამდენიმე წუთით, რათა ისევ მძიმედ დაშავებულიყო და ფეხბურთს დიდი ხნით გამოთხოვებოდა.

როგორი ნერვები აქვს რონალდოს? როგორ იმოქმედებს მასზე „ოლიმპიკოს" გარემო? შეეცდება სწორედ იქ ცუდად მოსაგონარ ადგილას ყველაზე კარგი მოგონება შეას თუ იმ თბილისელებივით იქნება, იმ სკამს თუ სავარძელს მიწისძვრის დროს რომ ისხდნენ, ველარ ეკარებიან?

ალბათ, რონალდოს მაინც მტკიცე ნერვები აქვს, რადგან ის დიდი სპორტსმენია, ხოლო მთლიანად „ინტერმა" იცის, რომ ნებისმიერი წაფორხილება ჩასაფრებულებს, უწინარესად კი მაინც „იუვენტუსს" გაახარებს.

კეთილი და პატიოსანი. ნულარ გავაგრძელებთ სიტყვას და ნულარ მოვყვებით იმას, რომ „ინტერის" მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს დიდი სურვილი აქვს მარად მეორეადგილოსნის იმიჯს დააღწიოს თავი, ხოლო „იუვეს" თავკაცს, მარჩელო ლიპის მწარედ ახსოვს „ინტერის" შეფად მუშაობის დრო.

საინტერესო დეტალი: ლიპის ფეხბურთელებისთვის ასე უთქვამს — მიბაძეთ იტალიელ ველომრბოლ მარიო ჩიპოლინის, რომელიც ფინიშის წინ განსაკუთრებით ძლიერდება და ბოლო მეტრებში მისი მჯობნი აღარავინ არისო.

„მილანი" და „ბოლონია" კი მეოთხე ადგილს ეპოტინებიან (მათთან ერთად „კიევო" და ზემოხსენებული „ლაციოც"). „მილანის" საქმე უფრო მარტივადაა, „სან სიროზე" გავარდნილი „ლეჩე" ჩაუდის. აი, „ბოლონია" კი ბრეშაში ჩადის, რათა გავარდნის შიშით გამხეცებულ რობერტო ბაჯოსა და მის ამალას მოუგოს. როგორია?

და როგორია იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალი ნაკრების მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მდგომარეობა? ჩვენ, მაგალითად, გვწამს, რომ დონ ტრაპი მუხლმოყრილი ევედრება მადონას, იქნებ პლეი ოფები აგვარიდოო. მართლაც, პლეი ოფი საჩემპიონო და პლეი ოფი მეოთხე ადგილისთვის. ო, მამა მია!

# გერმანია

სოლომონ გელიაშვილი

## ბუნდესლიგური რიგი: დორტმუნდი? ბაიერი? ბაიერნი?..

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| გლადბახი | - | მიუნხენი |
| შალკე | - | ვოლფსბურგი |
| ლევერკუზენი | - | ჰერტა |
| ზანკტ პაული | - | ნიურნბერგი |
| დორტმუნდი | - | ვერდერი |
| ფრაიბურგი | - | ჰამბურგი |
| კოტბუსი | - | კიოლნი |
| შტუტგარტი | - | ლაუტერნი |
| ბაიერნი | - | ჰანზა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 33 | 20 | 7 | 6 | 60:32 | 67 |
| ლევერკუზენი | 33 | 20 | 6 | 7 | 75:37 | 66 |
| ბაიერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 62:23 | 65 |
| ჰერტა | 33 | 18 | 7 | 8 | 60:36 | 61 |
| შალკე | 33 | 18 | 7 | 8 | 51:34 | 61 |
| ვერდერი | 33 | 17 | 5 | 11 | 53:41 | 56 |
| ლაუტერნი | 33 | 17 | 5 | 11 | 59:49 | 56 |
| შტუტგარტი | 33 | 12 | 11 | 10 | 43:40 | 47 |
| მიუნხენი | 33 | 14 | 5 | 14 | 55:57 | 47 |
| ვოლფსბურგი | 33 | 12 | 7 | 14 | 55:48 | 43 |
| ჰამბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 48:53 | 40 |
| გლადბახი | 33 | 9 | 12 | 12 | 39:49 | 39 |
| კოტბუსი | 33 | 9 | 8 | 16 | 34:57 | 35 |
| ჰანზა | 33 | 9 | 7 | 17 | 33:51 | 34 |
| ნიურნბერგი | 33 | 9 | 4 | 20 | 31:55 | 31 |
| ფრაიბურგი | 33 | 6 | 9 | 18 | 33:61 | 27 |
| კიოლნი | 33 | 6 | 8 | 19 | 23:59 | 26 |
| ზანკტ პაული | 33 | 4 | 10 | 19 | 35:67 | 22 |

**ბუნდესლიგა** რის ბუნდესლიგა იქნება, ყველაფერი ბოლო ტურში არ გაირკვეს, ჰოდა, დავიწყოთ: თუ „დორტმუნდმა" შინ კერკეტ „ვერდერს" მოუგო, მეექვსედ გახდება გერმანიის ჩემპიონი, ხოლო თუ ისე მოხდა, რომ პირველი სამეულიდან ორმა თანაბარი ქულები მოაგროვა, მაშინ ყველაფერს ბურთების უკეთესი სხვაობა გადაწყვეტს.

„ვერდერი" უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის და მასაც გამარჯვება სჭირდება. ბრემენელთა ნახევარმცველ ტორსტენ ფრინგსმა თქვა, „ბორუსია" ისე ვერ ნახავს ჩემპიონობას, როგორც საკუთარ ყურებსო: „დორტმუნდს" პირველობაში ნამდვილად ვერ დავეხმარებით, დარწმუნებული ვარ, მოვუგებთ, ყველა გუნდს თავისი მიზანი აქვს და არც ჩვენ ვართ გამონაკლისები, ხოლო ვინ გახდება ჩემპიონი, არ გვაინტერესებს." სხვათა შორის, თითქმის გადაწყვეტილია, რომ გაისად ფრინგსი სწორედ „დორტმუნდში" გააგრძელებს კარიერას.

„ბორუსიას" დღეს დისკვალიფიცირებული მცველი კრისტიან ვიორნსი არ ეყოლება, ხოლო „ვერდერს", რომელმაც ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ ორჯერ წააგო, ასევე დასჯილი ხორვატი ნახევარმცველი ივიცა ბანოვიჩი დააკლდება.

მასპინძელთა მწვრთნელი მათიას ზამერი ვითარებას არ ამწვავებს, მოედანზე გამარჯვებისთვის გავალთო, ამბობს და ამატებს, რაც უნდა ვთქვათ, ჩემპიონი ის გახდება, ვისაც ბოლო ტურის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა მოუგროვდებაო...

„ლევერკუზენის" მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ფინიშს გაორებული გრძნობით ხვდება, ერთის მხრივ, „ბაიერმა" ისტორიულ წარმატებას მიაღწია — ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, სამაგიეროდ, ბუნდესლიგაში ბოლო ორი თამაში წააგო და ლამის განაღდებული ჩემპიონობა ხელიდან უსხლტება: „სეზონი ძალიან ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა, ექვს დღეში სამი მატჩი ხომ სიგიჟეა, დაღლილობა მოგვერია. ასე რომ, გასაკვირი არაფერია, აი, თუნდაც მადრიდის „რეალი" გავიხსენოთ, რომელიც ბოლო ტურში სან სებასტიანში განადგურდა.

ახლა სხვა რა გზაა, „ჰერტას" უნდა მოვუგოთ და ვიმედოვნოთ, რომ „დორტმუნდი" წაიფორხილებს. „მანჩესტერთან" ლიგის ნახევარფინალი ძვირად დაგვიჯდა, უამრავი დაშავებული გვყავს. გარდა ამისა, 11 მაისს „შალკესთან" გერმანიის თასის ფინალი გვიწევს. არ ვიცი, ამდენი ძალა როგორ უნდა მოვიკრიბოთ."

„ბაიერს" მართლაც ფრიადი პრობლემები მოუგროვდა, მიხაელ ბალაკი „მანჩესტერთან" მტკივანი ფეხით თამაშობდა და ახლაც არ არის გამოჯანმრთელებული, დაშავებულია ბრაზილიელი ლუსიოც, ჯანზე ვერ არის არგენტინელი დიეგო პლასენტე და დღეს, ალბათ, ვერ ითამაშებს. იენს ნოვოტნის ტრავმა კი მოსალოდნელზე მძიმე გამოდგა, ექიმების მტკიცებით ნოვოტნი ლიგის ფინალს და მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს. ვინლა დარჩა, თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჩამოვთვალეთ, ამიტომ ბერლინელებთან ბაიერელებს საკუთარ თავზე გადახტომა მოუწევთ.

სხვათა შორის, ამ დღეებში ტოპმიოლერმა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციიდან წერილი მიიღო, აფრიკელები სთხოვენ, კორეა-იაპონიაში ჩვენ ეროვნულ გუნდს უთავკაცეო, მაგრამ პერ კლაუსმა შორს დაიჭირა, ხოლო მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა: „ტოპმიოლერი ნიგერიელების თამაშს ტელევიზორში უყურებს, ასეთი დაძაბული სეზონის შემდეგ მოსვენება სჭირდებაო".

ახლა კიდევ ერთ ვარიანტზე ვთქვათ, თუ „დორტმუნდმა" და „ლევერკუზენმა" წაიფორხილეს, ჩემპიონი, შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნი" გახდეს. ეჭვი არავის ეპარება, რომ დღეს ოტმარ ჰიცფელდის გუნდი აბსოლუტურად უმოტივაციო „ჰანზას" მოუგებს და 68 ქულას მოაგროვებს. თუ წინა ორი სეზონის ბოლო ტურებსაც გავიხსენებთ, როცა მიუნხენელები სასწაულებრივ ხდებოდნენ ჩემპიონები, გამორიცხული არაფერია. აკი წინა შაბათს ვოლფსბურგში გამარჯვების მერე ჰიცფელდმა თქვა: ბოლო ტურში ლიდერები მძლავრი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცევიან. ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვაქვს და თავისუფლად ვითამაშებთ. მოკლედ, ფინიშს მოუთმენლად ველი და ვიმედოვნებ, ჩემპიონები ისევ ჩვენ გავხდებითო...

დღეს „ბაიერნის" მაისურას ბოლოჯერ მორგებს ქარიზმატული კაპიტანი შტეფან ეფენბერგი. თავიდანვე გავა თუ არა მოედანზე, ეს მხოლოდ ჰიცფელდმა იცის, მაგრამ მისი გაცილება „ბაიერნის" ტრიუმფსაც დაემთხვეს. ამასობაში ეფენბერგმა დაადასტურა, რომ საქმე თურქულ „გალათასარაისთან" უჭირავს. მოლაპარაკება დაწყებულია, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერიაო — განაცხადა ეფენბერგმა. თურქული „სთარი" კი იუწყება, ორშაბათს სტამბოლში „გალას" უფროსობა ფეხბურთელსა და მის ცოლ-მენეჯერ მარტინას შეხვდებაო.

ცხრილის ძირში კი სიჩუმე და სიმშვიდეა: „ფრაიბურგი", „კიოლნი" და „ზანკტ პაული" უკვე მეორე ბუნდესლიგაში ირიცხებიან.


მათიას ზამერი ცხრილს ზევიდან დაჰყურებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

გიორგი დარჩანია

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| ზვალ | | |
| ბარსელონა | - | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | - | სარაგოსა |
| სელტა | - | სევილია |
| ალავესი | - | რაიო ვალეკანო |
| ბილბაო | - | ოსასუნა |
| ლას პალმასი | - | ტენერიფე |
| რეალი | - | მალიორკა |
| ვალიადოლიდი | - | სოსიედადი |
| ბეტისი | - | დეპორტივო |
| მალაგა | - | ვალენსია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 36 | 19 | 12 | 5 | 47:27 | 69 |
| რეალი | 36 | 19 | 8 | 9 | 69:41 | 65 |
| დეპორტივო | 36 | 18 | 8 | 10 | 59:41 | 62 |
| სელტა | 36 | 16 | 12 | 8 | 63:43 | 60 |
| ბარსელონა | 36 | 17 | 9 | 10 | 62:36 | 60 |
| ბეტისი | 36 | 15 | 14 | 7 | 42:29 | 59 |
| ალავესი | 36 | 16 | 3 | 17 | 40:43 | 51 |
| მალაგა | 36 | 12 | 14 | 10 | 42:41 | 50 |
| ბილბაო | 36 | 13 | 10 | 13 | 50:63 | 49 |
| ვალიადოლიდი | 36 | 13 | 9 | 14 | 43:53 | 48 |
| სევილია | 36 | 12 | 11 | 13 | 48:39 | 47 |
| ესპანიოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 46:52 | 47 |
| რაიო ვალეკანო | 36 | 11 | 10 | 15 | 44:52 | 43 |
| სოსიედადი | 36 | 12 | 7 | 17 | 44:52 | 43 |
| ოსასუნა | 36 | 10 | 11 | 15 | 35:47 | 41 |
| ვილიარეალი | 36 | 10 | 10 | 16 | 44:53 | 40 |
| ლას პალმასი | 36 | 9 | 12 | 15 | 39:48 | 39 |
| მალიორკა | 36 | 10 | 9 | 17 | 38:51 | 39 |
| სარაგოსა | 36 | 9 | 9 | 18 | 33:51 | 36 |
| ტენერიფე | 36 | 9 | 8 | 19 | 29:55 | 35 |

თანაბარქულიან გუნდებში უპირატესობა მინიჭებული აქვს ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს

კითხვა: რა შეიძლება გაირკვეს პრიმერა-დივიზიონის ბოლოსწინა ტურში?

პასუხის სამი ვარიანტი არსებობს: ყველაფერი, არაფერი ან რაღაც-რაღაცეები.

ყველაფერი (ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგაში გასული ოთხივე გუნდი, უეფას თასზე გასული სამივე გუნდი და სამივე გავარდნილი) გაირკვევა, თუ:

ბარსელონა — ესპანიოლი ------------- 2
ვილიარეალი — სარაგოსა ------------- 1
სელტა — სევილია ------------- 1
ალავესი — რაიო ვალეკანო ------------- 1
ბილბაო — ოსასუნა ------------- X2
ლას პალმასი — ტენერიფე ------------- 1
რეალი — მალიორკა ------------- 1
ვალიადოლიდი — სოსიედადი ------ 1X2
ბეტისი — დეპორტივო ------------- 2
მალაგა — ვალენსია ------------- 2

ამ ვარიანტში „ბარსელონას“ „სელტას“ ქულებით დაწევის შანსი კი რჩება, მაგრამ ურთიერთშეხვედრებით ვიგოელები ჯობნიან და „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსს დაკარგავს. იგივე ხდება ცხრილის ბოლოში, სადაც „მალიორკა“ ბოლო ტურში, შესაძლოა, დაეწიოს „ლას პალმასს“, მაგრამ ასევე ვერ გადაუსწრებს.

არაფერი გაირკვევა, თუ:

ბარსელონა — ესპანიოლი ------------- 1
ვილიარეალი — სარაგოსა ------------- X2
ლას პალმასი — ტენერიფე ------------- 2
ბეტისი — დეპორტივო ------------- 1
სელტა — სევილია ------------- 1
რეალი — მალიორკა ------------- X

დანარჩენი მატჩების შედეგებს მნიშვნელობა არ ექნებათ.

რაღაც-რაღაცეები გაირკვევა, თუ- აქ იმდენ შესაძლო ვარიანტს მიიღებთ, ჩამოთვლას ვერ აუვალთ.

# ყველაფერი, არაფერი, ან...





„ვალენსია“ დავიდ ალბელდასავით გაიხარებს ან მიგელ ანგულოსავით დაღონდება

ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებულებზე კი მოგახსენებთ: „ვალენსიას“ წინა ტურში გაუძევეს ამადეო კარბონი, რომელსაც, ალბათ, ყმაწვილი ფაბიო აურელიო შეცვლის. „რაიო ვალეკანოს“ ვიტორიაში დააკლდებიან მძიმედ დაშავებული გამთამაშებელი მიჩელი და დისკვალიფიცირებული მთავარმეგოლე ელვირ ბოლიჩი. „ბილბაოს“ „ოსასუნას“ წინააღმდეგ ისმაელ ურზაიზი დააკლდება, ზოლო კატალონიურ დერბიში „ბარსას“ კვლავაც რივალდოს გარეშე მოუწევს თამაში.

სხვა წყვილებში თითქოს ყველას ყველა ჰყავს.

## ინგლისის ასოციაციის თასი. ფინალი

დღეს. კარდიფი. „მილენიუმი“

არსენალი VS ჩელსი

# ლონდონი ღია ქალაქია



ტიერი ანრიმ მარჯვედ თუ მოიქნია...

**ბოლო** ოცი წელია, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში ლონდონური დაპირისპირება არ შემდგარა და აი, დღეს კარდიფში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან დედაქალაქური კლუბები, „არსენალი“ და „ჩელსი“. ამ ორიდან პირველი შარშანაც გახლდათ ამავე თასის ფინალის მონაწილე — „მილენიუმ სტედიუმზე“ 1:0-ს უგებდა „ლივერპულს“, თუმცა საბოლოოდ 1:2 წააგო.

საერთოდ, „არსენალს“ ჩინებული შანსი მიეცა, ბოლო ოთხ სეზონში მეორედ შეასრულოს დუბლი, ამისთვის ორი თამაშის მოგებაღა აკლია. ერთი დღეს, ხოლო ერთიც პრემიერლიგაში. თუმცა ამის მიუხედავად, „მეთოფეთა“ მენეჯერი არსენ ვენგერი ბრძანებს, ჯერ მიღწეული არაფერიაო. „არსენალის“ სასარგებლოდ დღეს ერთი სტატისტიკური მონაცემი მეტყველებს, „მეთოფეები“ 50 წელიწადზე მეტია, „ჩელსისთან“ ასოციაციის თასზე არ დამარცხებულან.

დღეს არსენ ვენგერის განკარგულებაში ყველა ფეხბურთელი იქნება. რა თქმა უნდა, გარდა რობერ პირესისა, რომელსაც უკვე დიდი ხანია, ტრავმა აქვს. გუნდს ისევ დაუბრუნდნენ სოლ კემპბელი და სილვენ ვილტორდი. ასევე ითამაშებს ტიერი ანრი, რომელმაც შარშანდელ ფინალში ერთი დუჟინი მომენტი გააცუდა და ახლა ღირსება და გოლიადორის რეპუტაცია უნდა დაიცვას.

ცალკე უნდა ითქვას 38 წლის დევიდ სიმენზეც, რომელმაც ამ ტურნირში უკვე ოთხი ფინალის თამაში მოახერხა და დღეს მეხუთეს ელოდება. შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგი კი ისეთ ფორმაშია, არ არის გამორიცხული, მომავალი მატჩის გმირი გახდეს. ბოლო ხუთ თამაშში მან ექვსი გოლი გაიტანა და არსენ ვენგერი დიდწილად მას უნდა უმადლოდეს, ახლა პრემიერლიგის ცხრილს ზემოდან რომ დაჰყურებს.

„არსენალზე“ ამდენის გამგონე ნუ იფიქრებთ, რომ „ჩელსი“ გულხელდაკრეფილი ზის და ელის, როდის წამოავლებს მისი თანაქალაქელი მეტოქე თასს ხელს. ბრძოლას, ცხადია, „არისტოკრატებიც“ აპირებენ. მათი მთავარი კოზირი კი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკია. მას ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი შეუწყვილდება და ორივენი შეეცდებიან, „არსენალის“ დაცვას სისხლი გაუშრონ. მათ მეტოქე მცველების დაწიოკება რომ შეუძლიათ, მთელი სეზონია წარმატებით ამტკიცებენ.

ბედი არ ჰქონია, გრემ ლე სოს, დღევანდელი თამაშიც თუ გაუცდა. ორი სეზონის წინ ასოციაციის თასის ფინალში „ასტონ ვილასთან“ ტრავმის გამო ვერ ითამაშა და ახლაც ისეთი დიაგნოზი აქვს, არ არის გასაკვირი, მოედანზე ვერ გავიდეს.

ბუქმეიკერებმა „არსენალი“ ფავორიტად შერაცხეს, თუმცა არ დავივიწყოთ, რომ „ჩელსი“ სათასო მატჩებს გამორჩეული გულისყურით ეკიდება და ძლიერადაც ატარებს. აი, დასტური: „არისტოკრატებმა“ ასოციაციის თასი ბოლო სეზონებში ორჯერ — 1997 და 2000 წლებში მოიგეს. 1998 წელს კი ლიგის თასის გამარჯვებულები გახდნენ. იმავე წელს ისინი თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ, ხოლო შემდეგ ევროპის სუპერთასს.



გრემ ლე სოს ფინალი არ დაებედა

„ჩელსის“, უფრო ზუსტად კი ყოფილ ჩელსელ რობერტო დი მატეოს ეკუთვნის ასოციაციის თასის ერთი რეკორდი. 1997 წლის ფინალში მან უსწრაფესი გოლის გატანა შესძლო, „მიდლსბროს“ კარი 43-ე წამზე დალაშქრა. სამი წლის შემდეგ კი იმავე თასის გათამაშების ფინალში, რომელიც „უემბლიზე“ ჩატარებული უკანასკნელი მატჩი იყო, ბოლო გოლიც „ჩელსიმ“ მიითვალა.

დაბოლოს, თავში, 20 წლის წინანდელი წმინდა ლონდონური თასის ფინალი ვახსენეთ, მაშინ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ შეხვდნენ ერთმანეთს და პირველმა მოიგო.

ნიკა ზუბლაძე

## ფინალების ისტორიიდან

— დღევანდელი მატჩის შემდეგ „არსენალი“ თასის ფინალში ნათამაშევი შეხვედრების რაოდენობით „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუტოლდება. ლონდონელებს დღემდე 14 ფინალი აქვთ ჩატარებული. აქედან 7 მოგებული და ამდენივე წაგებული. „ჩელსი“ კი მეშვიდედ ითამაშებს ამ ტურნირის ფინალში.

— „ჩელსიმ“ ბოლო სამი ფინალი 1970, 1997 და 2000 წლებში ჩაატარა, სამჯერვე გაიმარჯვა და ახლა მიღწევის ოთხამდე გაზრდის შანსი აქვს.

— „არსენალს“ შანსი აქვს, მესამედ მოიგოს თასი და ჩემპიონატი ერთად. ლონდონელებს აქამდე ორჯერ — 1971 და 1998 წლებში შეუსრულებიათ დუბლი. თუ წლევანდელსაც იგივე შესძლეს, ამ მაჩვენებლით ინგლისური კლუბებიდან მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩამორჩებიან.

— დღევანდელი ფინალი მეხუთე წმინდალონდონური იქნება 1888 წლიდან. 1967: „ტოტენჰემი“ — „ჩელსი“ 2:1; 1975: „ვესტ ჰემი“ — „ფულემი“ 2:0; 1980: „ვესტ ჰემი“ — „არსენალი“ 1:0 და 1982: „ტოტენჰემი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ (1:1, 1:0).

— ახლანდელ „არსენალში“ ოთხი მოთამაშეა ლონდონელი: ტონი ადამსი, სოლ კემპბელი, ეშლი კოული და რეი პარლორი, ხოლო „ჩელსიში“ სამი: ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი და ჯოდი მორისი.

— თასის 130-წლიან ისტორიაში მხოლოდ მეორედ მოხდა, რომ ფინალში მონაწილე ორივე გუნდის მწვრთნელი არაინგლისელია. „არსენალს“ ფრანგი თავკაცი ჰყავს, „ჩელსის“ — იტალიელი. პირველად შარშან იყო. „არსენალს“ ვენგერი ჰყავდა, ხოლო მეორე ფინალისტ „ლივერპულს“ ფრანგი ჟერარ ულიე ედგა სათავეში.

— ჰოლანდიელი რუუდ ვან გულიტი გახდა პირველი კონტინენტური ევროპელი მწვრთნელი, რომელმაც გუნდს ასოციაციის თასი მოაგებინა. მან 1997 წელს „ჩელსისთან“ ერთად მიაღწია წარმატებას.

## ასოციაციის თასზე ურთიერთშეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| 1914-15 | II ეტაპი | ჩელსი 1:0 არსენალი |
| 1929-30 | III ეტაპი | არსენალი 2:0 ჩელსი |
| 1930-31 | IV ეტაპი | ჩელსი 2:1 არსენალი |
| 1938-39 | III ეტაპი | ჩელსი 2:1 არსენალი |
| 1946-47 | III ეტაპი | ჩელსი 1:1 არსენალი |
| | გადათამაშება | არსენალი 1:1 ჩელსი |
| | II გადათამაშება | ჩელსი 2:0 არსენალი |
| 1949-50 | ნახევარფინალი | არსენალი 2:2 ჩელსი |
| | გადათამაშება | არსენალი 1:0 დ.დ. ჩელსი |
| 1951-52 | ნახევარფინალი | არსენალი 1:1 ჩელსი |
| | გადათამაშება | არსენალი 1:0 ჩელსი |
| 1972-73 | VI ეტაპი | ჩელსი 2:2 არსენალი |
| | გადათამაშება | არსენალი 2:1 ჩელსი |
| 2000-01 | V ეტაპი | არსენალი 3:1 ჩელსი |

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიონხენგლადბახი-მიუნხენი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.30 | 002 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 18.30 | 004 | ზტ. პაული-ნიურნბერგი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 18.30 | 006 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.30 | 007 | კოტბუსი-კიოლნი | 1,65 | 3,5 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,9 |
| 18.30 | 008 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 18.30 | 009 | ბაიერნი-ჰანზა | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 010 | კარლსრუე-უნტერჰახინგი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 011 | ზაარბრიუკენი-რიოტლინგენი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 18.00 | 012 | აინტრახტი-ბაბელსბერგი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 013 | არმინია-ალენი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 18.00 | 014 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 18.00 | 015 | ფიურტი-ჰანოვერი | 1,8 | 3,2 | 3,5 | 1,1 | 1,15 | 1,65 |
| 18.00 | 016 | უნიონი-მაინცი | 3,3 | 2,6 | 2,2 | 1,4 | 1,3 | 1,15 |
| 18.00 | 017 | ალემანია-ბოხუმი | 4,2 | 3,8 | 1,5 | 1,95 | 1,1 | 1,05 |
| 18.00 | 018 | შვაინფურტი-ვალდჰოფი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 1,3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 024 | კილი-აუე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 025 | ქემნიცი-ოსნაბრიუკი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 17.00 | 027 | მიუნსტერი-ვატენშაიდი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 17.00 | 028 | ლიუბეკი-ურდინგენი | 1,55 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 029 | დრეზდენი-მაგდებურგი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 18.00 | 030 | ვერდერი (მ)-ლევერკუზენი (მ) | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.00 | 031 | პადერბორნი-ესენი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXII ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 17.30 | 036 | ვეჰენი-ოფენბახი | 1,6 | 3,4 | 4,4 | 1,05 | 1,15 | 1,9 |
| 18.00 | 039 | აალენი-მანჰაიმი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 040 | ბაიერნი (მ)-კიკერსი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 042 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **პლეი-ოფი. ფინალი. (კარდიფში)** | | | | | | |
| | | 6 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 049 | ჩელტენემი-რაშდენი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 050 | გენგამი-ტრუა | 1,5 | 3,5 | 4,0 | 1 | 1,05 | 1,85 |
| 23.00 | 051 | სოშო-მონაკო | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 23.00 | 052 | ლილი-პსჟ | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 053 | მეცი-ლორიანი | 1,65 | 3,4 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,85 |
| 23.00 | 054 | სედანი-ბასტია | 1,8 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 055 | ნანტი-ბორდო | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 23.00 | 056 | ლიონი-ლანსი | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 057 | ოსერი-რენი | 1,1 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.00 | 058 | მარსელი-მონპელიე(ნეიტრ.) | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **იტალია. სერია „ა". XXXIV უტრი.** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 069 | ბრეშა-ბოლონია | 1,7 | 3,6 | 2,8 | 1,1 | 1,05 | 1,55 |
| 18.00 | 070 | კიევო-ატალანტა | 1,25 | 3,5 | 6,5 | 1 | 1 | 2,25 |
| 18.00 | 071 | ლაციო-ინტერი | 4,0 | 3,4 | 1,5 | 1,8 | 1,05 | 1 |
| 18.00 | 072 | მილანი-ლეჩე | 1,02 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 18.00 | 073 | პარმა-ვენეცია | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 074 | პერუჯა-ფიორენტინა | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 18.00 | 075 | პიაჩენცა-ვერონა | 2,0 | 2,3 | 4,0 | 1,05 | 1,3 | 1,45 |
| 18.00 | 076 | ტორინო-რომა | 5,6 | 4,0 | 1,3 | 2,3 | 1,05 | 1 |
| 18.00 | 077 | უდინეზე-იუვენტუსი | 8,0 | 4,0 | 1,1 | 2,65 | 1 | 1 |
| | | **იტალია. სერია „ბ". XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 23.45 | 078 | კალიარი-კომო | 2,8 | 1,8 | 3,4 | 1 | 1,5 | 1,15 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 080 | პისტოიეზე-ანკონა | 2,2 | 3,0 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,45 |
| 18.00 | 081 | ბარი-კოზენცა | 2,0 | 1,8 | 5,6 | 1 | 1,45 | 1,35 |
| 18.00 | 082 | კროტონე-ჯენოა | 3,4 | 2,5 | 2,3 | 1,4 | 1,35 | 1,1 |
| 18.00 | 083 | სამპდორია-მესინა | 1,75 | 2,7 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 084 | რეჯინა-სიენა | 1,5 | 3,1 | 6,0 | 1 | 1,2 | 2 |
| 18.00 | 085 | სალერნიტანა-ტერნანა | 1,9 | 2,9 | 3,0 | 1,1 | 1,15 | 1,45 |
| 18.00 | 086 | ემპოლი-ვიჩენცა | 1,4 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 18.00 | 087 | პალერმო-ნაპოლი | 3,4 | 3,0 | 1,8 | 1,55 | 1,15 | 1,1 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ა". XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 088 | ლივორნო-ალძანო | 1,01 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 19.00 | 089 | სპალ-არეცო | 1,75 | 2,8 | 4,0 | 1,05 | 1,2 | 1,6 |
| 19.00 | 090 | ლუკეზე-ჩეზენა | 1,3 | 3,3 | 7,0 | 1 | 1 | 2,2 |
| 19.00 | 091 | პადოვა-ლუმეცანე | 2,7 | 2,8 | 2,4 | 1,35 | 1,25 | 1,25 |
| 19.00 | 092 | ტრიესტინა-მონცა | 1,02 | 3,5 | 9,0 | 1 | 1 | 2,5 |
| 19.00 | 093 | რეჯანა-პიზა | 2,1 | 2,3 | 3,8 | 1 | 1,3 | 1,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 094 | ალბინოლეფე-სპეცია | 4,2 | 3,0 | 1,5 | 1,7 | 1,1 | 1 |
| 19.00 | 095 | ლეკო-ტრევიზო | 3,8 | 3,0 | 1,7 | 1,65 | 1,15 | 1,05 |
| 19.00 | 096 | კარარეზე-ვარეზე | 2,2 | 2,9 | 2,6 | 1,2 | 1,15 | 1,35 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ბ". XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 097 | კოზტი-ბენევენტო | 1,8 | 3,0 | 1,8 | 1,1 | 1 | 1,1 |
| 19.00 | 098 | აველინო-კატანია | 2,6 | 2,6 | 2,6 | 1,2 | 1,2 | 1,2 |
| 19.00 | 099 | ჟილა-ფერმანა | 2,0 | 2,6 | 3,8 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 19.00 | 100 | ლანჩანო-ჯულიანოვა | 1,95 | 2,8 | 3,8 | 1,1 | 1,25 | 1,6 |
| 19.00 | 101 | ტარანტო-ლოდიჯანი | 1,02 | 3,8 | 8,0 | 1 | 1 | 2,55 |
| 19.00 | 102 | დი სანგრო-ნოჩერინა | 1,7 | 2,9 | 4,4 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 19.00 | 103 | ტორესი-პესკარა | 3,0 | 1,3 | 3,0 | 1 | 1,5 | 1 |
| 19.00 | 104 | პეზარო-სორა | 1,02 | 3,8 | 8,0 | 1 | 1 | 2,55 |
| 19.00 | 105 | ასკოლი-ვიტერბეზე | 1,5 | 3,3 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,1 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 106 | რეალი-მალიორკა | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 23.00 | 107 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 23.00 | 108 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,1 | 1,1 | 1,65 |
| 23.00 | 109 | სელტა-სევილია | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 23.00 | 110 | ალავესი-რაიო | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 111 | ბილბაო-ოსასუნა | 2,0 | 3,0 | 2,5 | 1,2 | 1,1 | 1,35 |
| 23.00 | 112 | ლას პალმასი-ტენერიფე | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 23.00 | 113 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 114 | ბეტისი-დეპორტივო | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 115 | მალაგა-ვალენსია | 3,4 | 2,9 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,2 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 21.30 | 126 | ხიმნასტიკი-პოლი ეხიდო | 2,1 | 2,8 | 3,5 | 1,1 | 1,3 | 1,55 |
| 21.30 | 121 | ლეგანესი-სპორტინგი | 2,2 | 2,7 | 3,4 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 21.30 | 117 | ეიბარი-ნუმანსია | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 22.00 | 119 | სერესი-სალამანკა | 1,6 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 1,95 |
| 23.00 | 116 | ხაენი-ალბასეტე | 1,9 | 3,0 | 3,2 | 1,15 | 1,15 | 1,5 |
| 23.30 | 123 | რასინგი-ელჩე | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| 23.30 | 124 | ესტრემადურა-მურსია | 1,95 | 2,8 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 15.00 | 125 | ოვიედო-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,1 | 1,15 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 118 | ბურგოსი-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,8 | 1,15 | 1,3 | 1,6 |
| 21.30 | 120 | ლევანტე-უელვა | 2,9 | 2,5 | 2,6 | 1,3 | 1,35 | 1,25 |
| 21.30 | 122 | ფეროლი-ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20.00 | 127 | ფარენსე-ჟილ ვისენტე | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 20.00 | 128 | გიმარაეში-ლეირია | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 20.00 | 129 | ბრაგა-ალვერკა | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 20.00 | 130 | სანტა კლარა-ბელენენსეში | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.00 | 131 | ფერეირა-პორტუ | 4,7 | 3,3 | 1,6 | 1,9 | 1,15 | 1,05 |
| 22.00 | 132 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 133 | ბოავიშტა-სეტუბალი | 1,05 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 |
| 20.00 | 134 | მარიტიმუ-ბენფიკა | 2,9 | 3,2 | 2,1 | 1,5 | 1,2 | 1,25 |
| 20.00 | 135 | სალგეირუში-ვარზიმი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20.00 | 136 | ლეცა-მაია | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.00 | 137 | რიუ ავე-კამპომაიორენსე | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 138 | ლამაში-პორტიმონენსე | 2,0 | 1,8 | 3,3 | 1 | 1,2 | 1,15 |
| 20.00 | 139 | ესპინიუ-ოლივეირენსე | 1,65 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 20.00 | 140 | შავეში-ოვარენსე | 1,65 | 3,0 | 3,0 | 1,05 | 1,05 | 1,5 |
| 20.00 | 141 | ავეში-პენაფიელი | 2,0 | 3,2 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 20.00 | 142 | აკადემიკა-ნაციონალი | 1,05 | 4,2 | 9,0 | 1 | 1 | 2,85 |
| 20.00 | 143 | ნასიონალი-ფელგეირაში | 1,15 | 4,0 | 5,0 | 1 | 1 | 2,2 |
| 20.00 | 144 | ამადორა-მორეირენსე | 1,7 | 3,3 | 3,5 | 1,1 | 1,1 | 1,6 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 16.00 | 145 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 16.00 | 146 | გრააფსხაპი-პსვ | 4,4 | 3,0 | 1,7 | 1,75 | 1,2 | 1,05 |
| 16.00 | 147 | დენ ბოსხი-ალკმაარი | 1,6 | 3,4 | 4,0 | 1,05 | 1,1 | 1,8 |
| 16.00 | 148 | უტრეხტი-ბრედა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 16.00 | 149 | სიტარდი-როდა | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 16.00 | 150 | ნაიმეგენი-აიაქსი | 5,6 | 2,1 | 1,6 | 1,5 | 1,2 | 1 |
| 16.00 | 151 | ვალვაიკი-ვიტესი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 16.00 | 152 | ჰერენვენი-ტვენტე | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 16.00 | 153 | სპარტა-გრონინგენი | 3,0 | 2,0 | 2,0 | 1,2 | 1,2 | 1 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 163 | ბევერენი-შარლერუა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 23.00 | 171 | ლუვიე-ანტვერპენი | 1,75 | 3,4 | 3,5 | 1,15 | 1,15 | 1,7 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 164 | ლომელი-სტანდარდი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 18.00 | 165 | გენტი-მოლენბეკი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 18.00 | 166 | აალსტი-სტ. ტრუიდენი | 3,3 | 3,3 | 1,7 | 1,6 | 1,1 | 1,1 |
| 18.00 | 167 | ბრიუგე-მუსკრონი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 18.00 | 168 | ლიერსი-ვესტერლო | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 169 | გენკი-ლოკერენი | 1,5 | 3,8 | 4,7 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 18.00 | 170 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 22.30 | 174 | გეელი-რუზელარე | 1,7 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,75 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 172 | ჰეუსდენი-ეიპენი | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,1 | 2,05 |
| 18.00 | 173 | მონსი-მეხელენი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 175 | ტიენენი-სერკლი | 2,0 | 3,0 | 2,5 | 1,2 | 1,1 | 1,35 |
| 18.00 | 176 | სტრომბეკი-დენდერლეუ | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 177 | ვირტონი-ინგელმუნსტერი | 2,6 | 2,9 | 2,0 | 1,35 | 1,1 | 1,15 |
| 18.00 | 178 | დაინცე-დესელი | 1,7 | 3,0 | 3,0 | 1,05 | 1,05 | 1,5 |
| 18.00 | 179 | ლიეჟი-რონსე | 1,8 | 3,1 | 2,8 | 1,1 | 1 | 1,45 |
| | | **პოლონეთი. პლეი-ოფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 20.00 | 188 | ვისლა-ამიკა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 20.00 | 189 | რუხი-ლეგია | 3,0 | 2,7 | 2,1 | 1,4 | 1,2 | 1,15 |
| 20.00 | 190 | ოდრა-პოგონი | 1,65 | 3,2 | 4,4 | 1,05 | 1,2 | 1,8 |
| 20.00 | 191 | პოლონია-კატოვიცე | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | **პოლონეთი. პლეი-აუტი. XIV ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20.15 | 192 | გროცლინი-შლიონსკი | 1,4 | 3,2 | 4,7 | 1 | 1,05 | 1,9 |
| 20.15 | 193 | ზაგლებე-ოსტროვეცი | 1,6 | 2,1 | 3,8 | 1 | 1,1 | 1,3 |
| 20.15 | 194 | ვიძევი-სტომილი | 1,45 | 3,6 | 5,0 | 1 | 1,1 | 2,05 |
| 20.15 | 195 | რადომსკო-გურნიკი | 1,5 | 3,2 | 3,4 | 1 | 1 | 1,6 |
| | | **თურქეთი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 17.30 | 196 | გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 1,75 | 3,2 | 2,5 | 1,1 | 1 | 1,4 |
| 17.30 | 197 | სამსუნი-მალათია | 1,5 | 2,1 | 5,6 | 1 | 1,15 | 1,5 |
| 17.30 | 199 | დენიზლი-ქოჯაელი | 1,5 | 3,6 | 4,4 | 1,05 | 1,1 | 1,95 |
| 17.30 | 200 | რიზე-ანკარაგუჯუ | 1,75 | 3,2 | 2,8 | 1,1 | 1,05 | 1,45 |
| 17.30 | 201 | ანთალია-ისთანბული | 2,0 | 3,3 | 1,8 | 1,2 | 1 | 1,15 |
| 17.30 | 202 | ფენერბაჩე-დიარბაქირი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 |
| 17.30 | 203 | გენჩლერბირლიგი-ბურსა | 2,2 | 3,2 | 2,2 | 1,3 | 1,1 | 1,3 |
| 17.30 | 204 | გალათასარაი-იოზგათი | 1,1 | 4,0 | 12,0 | 1 | 1 | 3 |
| | | **ავსტრია. XXXV ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 19.30 | 210 | ადმირა-რიდი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 1,3 |
| 19.30 | 211 | ავსტრია-ტიროლი | 1,8 | 3,2 | 3,2 | 1,1 | 1,1 | 1,6 |
| 19.30 | 212 | კერნტენი-რაპიდი | 1,75 | 3,2 | 3,4 | 1,1 | 1,15 | 1,6 |
| 19.30 | 213 | ზალცბურგი-გრაცერი | 3,1 | 3,2 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 19.30 | 214 | შტურმი-ბრეგენცი | 1,1 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **შვეიცარია. „ა" ჯგუფი. XIII ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 21.00 | 215 | ლუგანო-სერვეტი | 1,9 | 3,2 | 3,3 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 216 | სტ. გალენი-სიონი | 1,2 | 4,4 | 8,0 | 1 | 1 | 2,8 |
| 19.30 | 217 | იანგ ბოისი-გრასჰოპერი | 2,2 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 21.00 | 218 | ციურიხი-ბაზელი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 1,3 |
| | | **შვეიცარია „ა-ბ" ჯგუფი. XIII ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 21.00 | 219 | დელემონი-აარაუ | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 220 | ლუცერნი-თუნი | 2,7 | 3,0 | 1,8 | 1,4 | 1,05 | 1,1 |
| 21.00 | 221 | ქსამაქსი-ლოზანა | 1,85 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 21.00 | 222 | ვინტერთური-ვილი | 3,4 | 3,2 | 1,7 | 1,6 | 1,1 | 1,1 |
| | | **შვეიცარია. „ბ" ჯგუფი. XIII ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 21.00 | 223 | კონკორდია-კრიენსი | 2,0 | 3,2 | 2,9 | 1,2 | 1,15 | 1,5 |
| 21.00 | 224 | ლოკარნო-ბადენი | 2,1 | 3,1 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 225 | კარუჟი-ბელინცონა | 2,3 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 226 | ივერდონი-ვადუცი | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,1 | 1,1 | 1,65 |
| | | **დანია. XXXI ტური** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 232 | ოლბორგი-ვიბორგი | 1,7 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,15 | 1,75 |
| 18.00 | 233 | მიდტიულანდი-გადემიკი | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 18.00 | 234 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 4,0 | 3,4 | 1,7 | 1,8 | 1,15 | 1,1 |
| 20.35 | 235 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| | | 6 მაისი | | | | | | |
| 22.00 | 236 | ესბიერგი-სილკებორგი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| | | **რუსეთი. X ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 16.00 | 238 | შინიკი-კრილია | 2,3 | 2,8 | 3,1 | 1,25 | 1,3 | 1,45 |
| 16.00 | 239 | როსტსელმაში-ლოკომოტივი | 3,8 | 3,0 | 1,9 | 1,65 | 1,25 | 1,15 |
| 16.00 | 240 | ანჟი-ცსკა | 3,5 | 3,0 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 16.00 | 241 | როტორი-ტორპედო | 2,3 | 2,9 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,45 |
| 16.00 | 242 | სპარტაკი-ურალანი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 16.00 | 243 | სატურნი-ალანია | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 16.00 | 244 | ზენიტი-სოკოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| | | **ფინეთი. II ტური** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 273 | კუოპიო-პაკა | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| | | **ინგლისი. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 277 | არსენალი-ჩელსი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **შოტლანდია. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 278 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **კალათბურთი. ნბა პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 22.00 | 550 | საკრამენტო-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,3 | | | |

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 მაისი | | | | | | | | | | | |
| 18.30 | 703 | მიონხენგლად.-მიუნხენი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 704 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 705 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 11,0 |
| 18.30 | 706 | ზტ.პაული-ნიურნბერგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.30 | 707 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 10,0 |
| 18.30 | 708 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 709 | კოტბუსი-კიოლნი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 710 | შტუტგარტი-კაიზერსლ. | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5 მაისი | | | | | | | | | | | |
| 19.00 | 711 | ლივერპული-ბლექბერნი | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 715 | რეალი-მალიორკა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 716 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,4 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 23.00 | 717 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.00 | 718 | სელტა-სევილია | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 719 | ალავესი-რაიო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.00 | 720 | ლას პალმ.-ტენერიფე | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.00 | 721 | ვალიადოლ.-სოსიედ. | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.00 | 722 | ბეტისი-დეპორტივო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.00 | 723 | მალაგა-ვალენსია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,2 |

## გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიუროები

ქალაქი ახმეტა ჩოლოყაშვილის ქუჩა №49;
ბორჯომი, რუსთაველის №145

## კვირას, 5 მაისს, აღდგომა დღეს კროკო არ იმუშავებს

## ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»



საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

NBA PLAYOFFS 2002 | პლეი ოფი | პირველი წრე, სამ მოგებამდე

# რეჯ-თაიმი

## ბებერი სნაიპერი ომში აღარ მიჰყავთ


REUTERS

რეჯი მილერი ჯეისონ კიდისთვისაც (№5) ძნელად მოსარევი მეტოქეა

2 მაისი

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 3 |
| ინდიანა | 2 |

**ნიუ ჯერსი 120:109 ინდიანა**

ძირითადი დრო 96:96

**ნიუ ჯერსი: კიდი (31 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), მარტინი (29), ვან ჰორნი (27)**

**ინდიანა: რ. მილერი (31), მერსერი (20), ონილი (18 ქულა, 10 მოხსნა), ბ. მილერი (14 ქულა, 18 მოხსნა), არტესტი (14)**

„ნიუ ჯერსიმ" მხოლოდ მეორე ოვერტაიმში ამოისუნთქა. რეჯი მილერს აქ გაუმრუდდა სამიზნე, ოთხი სამქულიანიდან ოთხივე ააცილა და მასპინძლებს გულიდან დარდი გადაეყარათ, გაიფანტა მათი გარემომცველი ნისლი და წინ გამოჩნდა დიდებით გაცისკროვნებული მომავალი. „ნიუ ჯერსი" ნბა-ში თამაშის ისტორიაში, კერძოდ, 1976 წლის შემდეგ სულ მეორედ გასცდა პლეი ოფსის საწყის ეტაპს. იყო იმის ალბათობაც, რომ „ბადეებს" სეზონი ჩვეულად, უფერულად დაესრულებინათ, მეორე წრისკენ მიმავალ გზაზე ხომ „ინდიანა" გადაეღობა, რომლის უბერებელი ოქროსხელება რეჯი მილერით, სწორედ იმ რეჯი მილერით, ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი სამქულიანი რომ ჩაუგდია და ბევრის გულიც დაუკოდავს.

„ნიუ ჯერსიმ" რეგულარული სეზონი აღმოსავლეთში პირველ ადგილზე ჩაამთავრა და მეტოქედ მეპლეიოფეებში წინასწარი მონაცემებით ყველაზე სუსტი ერგო, მაგრამ ამ სერიაში ძლიერი და სუსტი პირობითი ცნება გამოდგა. ჯერსელები ხუთივე მატჩში გვარიანად გაწვალდნენ, განსაკუთრებით კი მეხუთეში.

ბოლო ორი პლეი ოფის რიხინით მომგებ „ლეიკერსს" მრავალი ბრძოლა გადახდენია და მათგან ორ-სამში თუ წაწყდომია ღირსეულ მეტოქეს. მათ შორის ერთ-ერთი „ინდიანაცაა". ასაკშეპარული რეჯის გუნდი, ცხადია, 2000 წლის ფინალისტი „ინდიანასავით" მოქნილი ველარაა, თუმც კბენა კვლავ ეხერხება.

2 მაისს, სერიის გადამწყვეტ თამაშში მილერმა ღრმად დაასო თავისი ეშვები „ნეთსს". „რეჯი ჯორდანივით ბევრს არ აგდებს, მაგრამ მისი სროლები მაინც მაიკლისებივით მომაკვდინებელია. ჩემი აზრით, ნბა-ს დიადთა იერარქიულ კიბეზე მისი ადგილი გაცილებით მაღლაა, ვიდრე დღეს იმყოფება. რეჯი ჯეიმს ვორსივითაა, მაშინ იხარჯება, როცა ყველაზე უფრო საჭიროა. ის გამოკვეთილი მეპლეიოფეა" — „ინდიანას" მწვრთნელი, ერთ დროს თავადაც ლეგენდარული მოთამაშე აიზია ტომასი ალფრთოვანებულია თავისი შეგირდით. მიუხედავად იმისა, რომ მისი გარჯა საბოლოოდ უქმი გამოდგა.

იმ დღეს მილერი გადამწყვეტ ბურთებსაც ყრიდა და ნაკლებ მნიშვნელოვნებსაც. პირველ სამ თორმეტწუთეულში შედარებით ჩრდილში მყოფი ბოლო მეოთხედში აფეთქდა და ლამის „ნიუ ჯერსიც" ააფეთქა. მასპინძლები მაინც მაგრად დაუდგნენ მის ყუმბარებივით ბურთებს, მათი ლიდერი ჯეისონ კიდი ღირსეულად ეპაექრა ბებერ სნაიპერს, თანაგუნდელთაგან უკეთესი მხარდაჭერაც მიიღო და მეოთხე მეოთხედის ბოლოს მასპინძლები ცოტა წინ გავიდნენ. მათ ძირითად დროშივე შეეძლოთ ‚გება, მაგრამ ახალბედა და გამოუცდელ რიჩარდ ჯეფერსონს ხელები აუკანკალდა, 96:93 ანგარიშზე სირენამდე ათიოდ წამით ადრე ორი საჯარიმოდან ვერცერთი გამოიყენა და „ინდიანას" მოსაჭიდებლად ხავსი დაუტოვა. აქ უკვე შეიძლებოდა გმირობის ჩადენა და რეჯიმაც დაიქუხა. სირენამდე წამით ადრე ცენტრს ოდნავ გადმომცდარმა გაისროლა და ბურთი კალათში ჩააჭედა. ჩავარდა ბურთი და მილერს ტრიბუნებიდან ვიღაც შავი ახმახი გოგო ჩამოუვარდა და ჩაეხვია. ხალხმა მალევე იცნო ეს ზორბა მანდილოსანი, რეჯის უფროსი და სუზანი, ქალთა კალათბურთის ლეგენდა, რომელთან გათანაბრებასაც ამაოდ ლამობდა თავად თითქმის ლეგენდა რეჯი მილერი.

მილერმა მოგვიანებითაც დაიქუხა, პირველ ოვერტაიმში ორხელა ჩაუტენა „ნიუ ჯერსის", 107:107 გაათანაბრა და მასპინძლებს შემდეგ ეტაპში გასვლა კიდევ ხუთი წუთით გადაუვადა. ნიუჯერსელებმა მეორე ოვერტაიმშიღა გატეხეს ბებერი სნაიპერი, რომელიც ინდიანელთა სამწუხაროდ მანქანა არაა და პირველი ეტაპის დაძლევით ფრიად გაიხარეს.

მეორე წრეში „ნიუ ჯერსი" „შარლოტს" შეებმება. რაც შეეხება მილერს, ის უკვე ორთვიან შვებულებაშია და სადმე ტროპიკულ კუნძულზე ვალმოხდილი მიეფიცხება მაისის მზეს.

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 3 |
| ტორონტო | 2 |

**დეტროიტი 85:82 ტორონტო**

**დეტროიტი: უილიამსონი (23), ეტკინსი (14), რობინსონი (13), ბერი (12)**

**ტორონტო: კარი (17), ჩაილდსი (16), კლერკი (15)**

„დეტროიტ პისტონზი" მთელი სეზონის განმავლობაში ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ მისი წარმატებისთვის მთავარია მწვრთნელ რიკ კარლაილის დაცვითი თეორიების ცხოვრებაში გატარება და არა ჯერი სტეკჰაუზის უდიდესი შემტევი პოტენციალი. გუნდი ერთ მოთამაშეზე მეტს ნიშნავს და ამ ერთი კაცის ფორმა-უფორმობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებულიო, ქადაგებს კარლაილი. შეგირდებიც ყურს უგდებენ და ჯერჯერობით მოგებულნი რჩებიან.

აი, „ტორონტოსთან" მეხუთე, გადამწყვეტ მატჩში სტეკჰაუზი სრულად ჩაფლავდა. წინა სეზონის მეორე ბომბარდირმა და ყოველ მატჩში სამი ათეული ქულის გაკეთების შემძლემ თამაშიდან ერთადერთხელ ჩააგდო და მხოლოდ ხუთი ქულა იკმარა, ესე იგი, არაფერი. მისიანებმა კი უმისქულებოდაც მოიგეს. მაშასადამე, კარლაილს აქვს უფლება, თავი წარმატებულ მეცნიერად ჩათვალოს. მან ააწყო და მეტოქეების წინააღმდეგ მომართა მექანიზმი, რომელიც საათივით მუშაობს, არა, უკეთესადაც მუშაობს, რადგან დეტალის გაფუჭების (სტეკჰაუზი იგულისხმება) შემთხვევაშიც არ ჩერდება.

ტორონტოელებსაც აქვთ რალაც უფლება, მაგალითად, საკუთარი თავის ფაქტობრივ გამარჯვებულად, ანაც, უკიდურეს შემთხვევაში, ღირსეულ დამარცხებულად ჩათვლის უფლება. მათ ხომ მთელი სერია მფრინავ ლიდერ ვინს კარტერის გარეშე ჩაატარეს და ახლა ფიქრობენ და ამბობენ, კარტერთან ერთად მეორე წრის სანუკვარი საგზური ჩვენ დაგვრჩებოდაო. „ტორონტო" ხომ კარტერზე მეტადაა დამოკიდებული, ვიდრე „დეტროიტი" სტეკჰაუზზე.

ისე, ტორონტოელებმაც დაამტკიცეს რალაც, არცთუ იოლად დასამტკიცებელი. უვინსკარტეროებმა აღმოსავლეთის მეორე გუნდს ორი გამარჯვება ასწაპნეს და ამით დაიმახეს, კარტერი კი გვაკლია, მაგრამ არა შემართება და ცეცხლიო.

ახლა „დეტროიტი" სამ-ოთხი დღით დაისვენებს და „ბოსტონსა" და „ფილადელფიას" შორის უმჯობესს დაუპირისპირებს თავის დაცვით მექანიზმს.

**ირაკლი ფირცხალავა**


REUTERS

ტორონტოელი ანტონიო დევისი თავაწეული ამთავრებს პლეი ოფს

---

თურქეთი

## ფაჩულიას კონკურენტი თურქეთიდან გაიქცა

**თურქეთში** გადამწყვეტი მატჩების ჟამი დადგა, ანუ საპლეიოფო მარათონი დაიწყო. რეგულარული ჩემპიონატი ისე დასრულდა, ზაზა ფაჩულიას „ულქერმა" თანაქალაქელი „ეფესი" ცხრილის კენწეროდან ვერ ჩამოაგდო და თუ მას შარშანდელივით ფინალში შეეყრება, მოედნის უპირატესობა „ეფესს" ექნება. მანამდე კი ორი ბარიერია დასაძლევი და მურათ დიდინის გუნდმა საქმე რიხით დაიწყო.

„ულქერი" მეოთხედფინალურ სერიაში მეშვიდეზე გასულ „ბეშიქთაშს" დაუწყვილდა და რადგან იგი ჩემპიონატის ორივე შეხვედრაში დაემარცხებინა, 1:0-დან დაიწყო. პირველ მატჩში ულქერელებმა იოლად მოუგეს „ბეშიქთაშს" და ნახევარფინალს ერთი გამარჯვებაღა აშორებთ.

ცოტა ხნის წინ გუნდიდან გაძევებულ ამერიკელ ცენტრ ბად ელის ნაცვლად „ულქერმა" ნბა-ში გამობრძმედილი, თუმც ახლა პროფესიული ლიგისთვის უვარგისი აიზეკ ოსტინი მიიყვანა, თუმც რამდენიმე დღის წინ ამერიკელმა უკითხავად დატოვა გუნდი და საერთოდ თურქეთი. ეს შეიძლება არც გვეხსენებინა, ოსტინი ზაზა ფაჩულიას კონკურენტი რომ არ ყოფილიყო, მაგრამ, ასე მოხდა და ჩვენებურმაც „დეზერტირის" აორთქლებიდან პირველივე მატჩში 20 წუთით მოიღალა თავი.

— ოსტინის წასვლა ჩემთვის კარგია. ცენტრის პოზიციაზე კონკურენცია შესუსტდა და „ბეშიქთაშთანაც" საკმარისად ვითამაშე. დიდინმა მეორე მეოთხედის შუაში შემიყვანა და შემდეგ მეოთხე ათწუთეულის დასაწყისში დამასვენა. თამაშით კმაყოფილი ვარ, სროლათა პროცენტული მაჩვენებელი საუკეთესო მქონდა და ჯამში 14 ქულა მოვაგროვე. მოხსნებშიც ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, როცა მეტოქემ კონტრშეტევაზე დაგვიჭირა და ორი ქულაც გარდაუვალი ჩანდა, თუმც ფართან ეულად დარჩენილ ბეშიქთაშელს წამოვეწიე და უკანიდან დავაფარე. ისე ლამაზად გამოვიდა, რომ მაყურებელთან ერთად მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელმაც ტაში შემოჰკრა.




ზაზა ფაჩულიამ თამაშის გემო პლეი ოფში გაიხსენა

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, სულ ჩვენ ვიყავით წინ. თავიდან 11:2 დავწინაურდით, პირველი ნახევარი კი 19 ქულით მოვიგეთ. მესამე ათწუთეულში „ბეშიქთაშმა" პრესინგს მიმართა და სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა, მაგრამ სწრაფი პირველი შეტევებით მეტოქე გავტეხეთ და დამაჯერებლადაც გავიმარჯვეთ — გვითხრა ზაზა ამ როცა სტამბოლში დავუკავშირდით.

როგორც ვთქვით, „ულქერს" ერთი მოგებაღა აკლია ნახევარფინალში გასასვლელად, იქ კი სერიას კვლავ 1:0-ით დაიწყებს, რადგან შესაძლო მეტოქეებს — „დარუშაფაკასაც" და „ქარშიაქასაც" „ბეშიქთაშის" დარად ჩემპიონატში ორჯერვე აჯობა.

---

სლოვენია

## უგრეხელიძე-ტულუშის უბანს ბოისას უბანმა დააყარა

**„ოლიმპიამ"** 1 მაისს ლიუბლიანას ერთი უბნიდან მეორეში რამდენიმე საათით შეიარა, რათა მოეგო და უკან გაბრუნებულიყო.

ახლა უფრო გარკვევით და დაწვრილებით: სლოვენიის მორიგ ტურში დედაქალაქური დერბი გაიმართა „ოლიმპიასა" და „სლოვანს" შორის, რომელსაც ჩვენ „ქართულ დერბად" ვრაცხთ. პირველში საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა თამაშობს, მეორეში კი ჩვენივე ნაკრების წევრი დავით უგრეხელიძე და კოტე ტულუში. ამ გუნდებს შორის სხვაობა იმდენად დიდია, რომ „სლოვანის" მწვრთნელს ნახსენები მატჩი სავარჯიშოდ გამოუყენებია, რადგან მას ისევე არ სჯეროდა გამარჯვების, როგორც ყველა სლოვენიურ კალათბურთში გარკვეულს.

„გულიელოვოში" შეგუებულიყვნენ „სლოვანის" წაგებას და ასეც მოხდა. მასპინძლებმა თავიდან კი გაუწიეს წინააღმდეგობა ჩემპიონებს, მაგრამ ეს ოლიმპიელთა გულგრილობის ბრალი უფრო იყო.

— ყველამ იცოდა, რომ არავითარი შანსი არ გვქონდა და მწვრთნელმა მატჩი ტაქტიკის დასახვეწად გამოიყენა. თავიდან თანაბარი თამაში გაჩაღდა, მაგრამ მეორე მეოთხედში სხვაობამ 10 ქულას გადააჭარბა და აღარც შემცირებულა. იყო მომენტი, სამივე ქართველი მოედანზე ვიყავით — მეც, უგრეხელიძეც და ბოისაც, მაგრამ ჩვენს თამაშს მოტივაცია აკლდა და ეს ამ გუნდებს შორის არსებულ ძალთა ფარდობის ბრალია. „ოლიმპია" მართლაც ძლიერი გუნდია. მისი მოთამაშეები ხუთივე ფაქტობრივად უხელფასოდ არიან და ასეთ ვითარებაშიც ახერხებენ, სლოვენიაში ყველაფერი მოიგონ. ჩემპიონობა წლეულსაც, ალბათ, მათ დარჩებათ, ჩვენ კი ნახევარფინალში გასაღწევად ვიბრძოლებთ — გვამცნო კოტე ტულუშმა სლოვენიიდან, რომელმაც კარგა ხნის უთამაშებლობის შემდეგ ამ შეხვედრაში 15 წუთში 4 ქულა მოინაგრა. დავით უგრეხელიძე კი 15 ქულით „სლოვანში" ერთ-ერთი საუკეთესო იყო.



დავით უგრეხელიძე

ბოისამ, როგორც წესი, ხუთეულში დაიწყო თამაში და საერთო ჯამში ტულუშის მსგავსად 15 წუთი ითამაშა და მხოლოდ 2 ქულა გააზერხა.

**ირაკლი ბერტაია**



# ანა კურნიკოვა: სახელოვანი სხეულის უსახელო კარიერა

## კიმ კლაისტერსი: სამშობლოვ, კაცზე უტკბესო

პალმა დე მალიორკა. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**

**გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია)** — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:1, 5:7, 6:3; **იარკო ნიემინენი (4, ფინეთი)** — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:0, 6:3; **დომინიკ ჰრბატი (7, სლოვაკეთი)** — კრისტოფ როშუ (ბელგია) 6:4, 6:4; **გასტონ გაუდიო (8, არგენტინა)** — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:1, 6:3

გუსტავო კუერტენის სამალიორკო გარჯის შემხედვარე კაცს ენა არ მოუტრიალდება, სამი თვე კორტზე არ გასულაო, თქვას. მისი მორიგი მსხვერპლი შვედი მაგნუს ნორმანი შეიქნა, ვისთვისაც ჯადო-გუგას 2000 წლის როლან გაროსის ფინალშიც მოუგია, როცა — ეგებ ვინმეს მიავიწყდა და — იქ თავისი მესამე ტიტული მიითვალა.

ამ ტკბილი მოგონებების გარდა ბრაზილიელსა და შვედს კიდევ ერთი რამეც აერთიანებთ — თავიანთი ვნებული ქვედა კიდურები ორივემ ტენესური ნეშვილქალაქის სადასტაქრო ცენტრში შეიკეთა, შვედმა შარშან, აგვისტოში, ბრაზილიელმა წლეულს, თებერვალში.

სხვაფრივ — მეოთხედფინალში კუერტენი არგენტინელ გასტონ გაუდიოს შეეხლება და ვარაუდობენ, რომ ტურნირის მომავალი გამარჯვებულის ვინაობა სწორედ ამ შეხლაში გაირკვევა.

გაუდიომ წინა კვირას ბარსელონურ თიხნარზე იმარჯვა და ახლაც ცქვიტ ფორმაშია. გუგასთან გაპაექრების უფლება მან ჭარმაგი სედრიკ პიოლინის ვჯემით მოიპოვა.

მიუნხენი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი

**მეორე წრე**

**ტომი ჰაასი (2, გერმანია)** — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 5:7, 7:6 (7:2), 6:2; **ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი)** — ირჟი ნოვაკი (4, ჩეხეთი) 6:2, 7:6; **იუნეს ელ აინაუი (მაროკო)** — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 4:6, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუსეთი)** — ოლივერ გროსი (გერმანია) 7:6 (7:4), 7:6 (7:2)

რუმინელ ანდრეი პაველთან ორი უკანასკნელი დაპირისპირება ტომი ჰაასს პირწმინდად წააგო. ამიტომაც იყო, დათმობილი პირველი სეტის მერე მისი საბოლოო გამარჯვებისა მის გარდა ალარავის რომ არ სჯეროდა.

თუმცა 3 ათასი შინაურის წინაშე გაბითურება ჰაასმა მაინც ძალიან ითაკილა და მეტოქეს ჯერ ტაიბრეიკზე ნაბულრავები სეტი წაჰგვარა, მერე კი საერთოდაც გადაურა.

ვერ იქნა და ისე ვერ ავთამაშდი, მე თვითონ რომ მესიამოვნებაო, იძახდა მერე.

ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი (2, ბელგია)** — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:3, 2:1 (რიტნერმა შეწყვიტა); **მარტინა ჰინგისი (3, შვეიცარია)** — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:1, 6:0; **ჟუსტინ ენენი (4, ბელგია)** — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:4; **ელენა დოკიჩი (6, იუგოსლავია)** — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (6, სლოვაკეთი)** — მაგი სერნა (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3; **არანჩა სანჩეს ვიკარიო (8, ესპანეთი)** — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:4, 2:6, 7:6 (7:4); **ბარბარა შეტი (ავსტრია)** — ანკა ბარნა (გერმანია) 6:1, 6:2

ჰამბურგის სეფეკორტზე გარონიებას არაფერი სჯობდა — იქ იმდენ სახელიან გოგოს მოეყარა თავი და ყველა ისე ჯიგრიანად ბურთაობდა, იქ მოსაფრე ხალხმაც მაგრად ისეირა და ტელეეკრანებთან მოკალათებულმაც.

მარტინა ჰინგისმა 27 წლის ესპანელი კრისტინა ტორენს ვალერო გამოიჭირა და მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო. კიმ კლაისტერსი ადგილობრივ ბარბარა რიტნერს, წინა კვირის დამლევს ფედერაციის თასზე რუსთათვის 3 (!) მატჩის მომგებ გოგოს უბაგუნებდა და ამას რომ მარჯვენა ბარძაყი არ ატკივებოდა, მთლად ბოლომდე დანაყავდა.

იმარჯვა ჟუსტინ ენენმაც, თუმცა ავსტრალიელმა ნიკოლ პრატმა მას შუშპარა განდაგანა გაუჩაღა და თავი იოლად არ დააჩაგვრინა. კიდევ უფრო გაუჭირდა არანჩა სანჩეს-ვიკარიოს, ვისაც ნიჭიერი გერმანელი გოგოს, მარტინა მიულერის ფიცხელი წინააღმდეგობის გატეხვა მოუხდა.

მომხიბლავმა სლოვაკმა დანიელა ჰანტუხოვამ კი სამორიგწრეო საშვი ბუთხუზა ესპანელ მაგი სერნას წაართვა.

ნაამატჩევებს ყველაზე მეტი კიმ კლაისტერსმა ილაპარაკა. აქაოდა, ამას წინათ მხარი რომ ვიტკინე, ჯერ კიდევ მაწუხებსო, ყოველდღე სიმძიმეებს ვწიკავ, კუნთი რომ გავიმაგროო და მისთანები. სულ ბოლოს კი ისიც უკითხავს, რომელმა სულელმა გაჭორა, თითქოს ავსტრალიელთა სახელით გამოსვლას ვაპირებო. ლეიტონ ჰიუიტი თავს კი მირჩევნია, მაგრამ სამშობლოზე ტკბილი ლეიტონიც არ გახლავთო!

ბოლი. თიხნარი
საპრიზო 140 ათასი $

**მეორე წრე**

**ტინა პისნიკი (7, სლოვენია)** — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:7 (1:7), 6:3, 6:3; **მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა)** — ანე კრემერი (2, ლუქსემბურგი) 6:2, 7:5; **ივა მაიოლი (4, ხორვატია)** — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 2:6, 6:4, 7:6 (7:4)

ანა კურნიკოვამ ვერც ხორვატიაში ჰკიდა ხელი იმას, რასაც ვერასოდეს შეწვდენია. თავის 103-ე ტურნირზე ნაბურთავებმა ესეც ისევე დატოვა, როგორც წინა 102 — უტიტულოდ და უჩინმენდლებოდ.

ამ ამბის გარდა მოსახსენებელი ვინძლო მხოლოდ ივა მაიოლისა და მისი თვისტომის, ელენა კოსტანიჩის შეხვედრა იყოს. ივას, ვისაც ბოლში აქამდე ორჯერ ეთამაშა, მაგრამ მეოთხედფინალამდე ერთხელაც ვერ მისულიყო, უფროსრე ყმაწვილ თანამემამულესთან ჭიდილი მხოლოდ პირველ წრეში მისჭირდა, თორემ მერე და მერე აზურდა და საბოლოო გამარჯვებაც დასტურ მიიღარდიმანდა.

**ლევან ძელაურაძე**



მარტინა ჰინგისი



ეროვნული ბიბლიოთეკა




კარპოვმა შიროვს ხელი აიწევინა

# ანანდმა ზამთრის ძილი დაასრულა

**პრაღაში** ჩავიდნენ ცნობილი ჟურნალისტი მიგ გრინგარდი და ცნობილივე ჟურნალ „64“-ის რედაქტორი ალექსანდრ როშალი. თითქოს რაღა დროსია, „ევროტელ ტროფიზე“ მხოლოდ ფინალი დარჩა სათამაშო, მაგრამ 6 მაისს ჟურნალისტებს გემრიელი კერძი ელით: დიდი თათბირი ჭადრაკის მომავალზე ყველა მნიშვნელოვანი პერსონისა და დაპირისპირებული მხარის მონაწილეობით. ზოგი დიდოსტატი სამიტს ერთგვარი გულგრილობით ეკიდება. ვესელინ ტოპალოვმა, მონაწილეობას არ მივიღებო. „თუ ფული არ არის, სალაპარაკოც არაფერია და თუ არის, ჩვენი საქმე თამაშია“ — თქვა ბულგარელმა.

არ იქნებიან პრაღაში ვასილი ივანჩუკი და ალექსანდრ მოროზევიჩიც. რუსის თქმით, ერთ-ერთი ევროპული ლიგის კლუბში მიიწვიეს და უნდა ითამაშოს, ოღონდ იქ თურმე მხოლოდ ფიზიკურად იქნება, მენტალურად კი — თათბირზე, რადგან ჭადრაკის მომავალი ფეხებზე როდი ჰკიდია.

მანამდე კი ჩეხეთის დედაქალაქში ტკაცუნით გადაირთვებიან შუქნიშნები (უსინათლოთა ინტერესების გათვალისწინებით), ხოლო ქალაქის ცენტრში ჯიშიანი ძაღლების ტევა არ არის, რომლებსაც პატრონები ნებაზე უშვებენ და მაინც ზოგ ადამიანზე უკეთ იცავენ ქუჩაში მოძრაობის წესებს. მოკლედ, პრაღაშიც გაზაფხული შემოსულა, რაც „ევროტელ ტროფის“ დარჩენილ მონაწილეებსაც ატყვიათ, ყველაზე უფრო ვიშვანათან ანანდს. ზამთრის ძილის შემდეგ (წარუმატებელი ტურნირების მოზრდილი რიგი იგულისხმება) ვიშიმ ყოჩაღი ნაბიჯებით იარა და ფინალში გავიდა. მისი ბოლო მსხვერპლი ვასილი ივანჩუკი გახდა. ინდო-უკრაინულ სწრაფი ჭადრაკის პარტიებში ყაიმები გაფორმდა, აგრეთვე პირველ ბლიცში, მერე კი ანანდმა მძლავრად დასცხო მეტოქეს, შექმნა გამსვლელი პაიკი, გაამაგრა ეტლებით და ივანჩუკს იმის დრო არ ჰქონდა, რომ სულ სწორი სვლები ეპოვნა. წაგების შემდეგ ივანჩუკს სახე ტრადიციულად გაუქვავდა და გასასვლელისკენ გაიჭრა, სადაც სეკუნდანტები დაეწივნენ და დაწყნარება დაუწყეს.

ივანჩუკს და ანანდს ქომაგები თანაბრად ჰყავდათ, ხოლო ანატოლი კარპოვს ალექსეი შიროვის წინააღმდეგ მთელი დარბაზი გულშემატკივრობდა. ყოველი პარტიის წინ ჯერ შიროვი გამოდიოდა სცენაზე და რა იგი შემოსულა და რა სცენის გამნათებელი, ხოლო კარპოვის გამოჩენისთანავე ოვაციების გრგვინვა ატყდებოდა და ბარე ერთ წუთს არ ცხრებოდა. ამის მიუხედავად, სწრაფ ჭადრაკში ანატოლი ევგენიჩს ორჯერვე მარცხი ემუქრებოდა, განსაკუთრებით მეორე პარტიაში ძლივს დაუძვრა წაგებას, მერე კი პირველი ბლიცი მოიგო. მასში შიროვმა ფიგურა შესწირა. იდეა მართებული იყო, მაგრამ ესპანეთის მოქალაქემ რეალიზების დროს მიპქარა. კარპოვმა მეორე ბლიციც მოიგო, სულ რაღაც 20 სვლაში.

**დავით გულუა**

**ნახევარფინალი**

**ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)** — ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 2,5-1,5; **ანატოლი კარპოვი (რუსეთი)** — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 3-1



# ქართული სამბო: ჭიდაობა უფულოდ

**გაზაფხული** რაგინდარა ჭიდაობის გაგანია სეზონია. ახლახან იყო, კლასიკურად მოჭიდავე ქართველები ფინეთიდან ოქრო-ვერცხლით რომ დაგვიბრუნდნენ, „თავისუფლები“ ბაქოს ტატამზე ცდილობენ მედლების მოპოვებას, 9-13 მაისს კი იტალიის ქალაქ ტურინში სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

სამბისტთა კონტინენტურ პირველობაზე ქართველებიც გაემგზავრებიან და სამ ასაკობრივ ჯგუფში (ჭაბუკები, ახალგაზრდები, დიდები) იჭიდავებენ. ტურინში 29 ფალავანი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ემილ რაში ჩავლენ. არახალია, რომ სამბო არაოლიმპიური სახეობაა და ისედაც შეჭირვებულს მცირე ყურადღება ექცევა. ახლაც ვერ მოხერხდა ნაკრებისთვის შეკრებების მოწყობა და საერთაშორისო ტურნირებზე გაგზავნა საევროპოდ ქართველი სამბისტების მიმოსვლის ხარჯები საქართველოს სპორტის დეპარტამენტს უნდა გაეღო, მაგრამ მიწისძვრამ ფინანსთა სამინისტროს სალარო გაცალა, მან კი სპორტის დეპარტამენტს ველარ მისცა კუთვნილი. ჰოდა, სამბისტებიც ნასესხები ფულით მიდიან ტურინში. გაჭირვებასა და აწეწილი მზადების მიუხედავად, ოლეგ იაძე იმედიანადაა. მისი თქმით, ჭაბუკი და ახალგაზრდა ფალავნები უეჭველად ოქროს გამოჰკრავენ ხელს. დიდებმა კი სამი-ოთხი მედალი უნდა მოიგონ. მათი გუნდის შემადგენლობა ასეთია: *57 კგ. აკაკი ხანიშვილი (გორი), 62 კგ. ნოდარ მჭედლიშვილი (საგარეჯო), 74 კგ. არჩილ ჩოხელი (მცხეთა), 82 კგ. ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი), 90 კგ. გიორგი შუბითიძე (რუსთავი), მძიმე — რატი ფერაძე (ზესტაფონი).*

**ბაჩო სვანიძე**



ავთანდილ ბურასაყვილის ფოტო

სუმისტები ერთმანეთთან საჭიდაოდ და ავსულთა დასაფრთხობად დაძრულან



სუმისტები მარილიან სარბიელზე — ძველი იაპონური ნახატი

# ჭიაკოკონობა ბურთით და უბუროდ

**ჩაიარა** კიდევ ერთმა აღდგომისწინა ოთხშაბათმა თავისი ჭიაკოკონობით, როცა კოცონის დანთებით, მასზე გადახტომა-გადმოხტომით თუ ცეცხლის ირგვლივ ყიჟილ-ხივილით ავი სულები განიდევნებიან.

ამ დღეს ავსულთა განდევნის ტრადიცია საქართველოში უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და ამაში გამონაკლისი სულაც არ ვართ. ავსულებს სხვადასხვაგვარად აფრთხობენ ამომავალი მზის ქვეყანაშიც და ევროპის დასავლეთშიც. ამისთვის სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა საშუალებებს იყენებს, ზოგსაც მსგავსი ტრადიციები აქვს, ნაწილს კი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი.

იაპონელები ავსულებს სუმოს საშუალებითაც ებრძვიან, მაგრამ ეს საქმე წინათ მხოლოდ სამურაების პრივილეგია იყო. მთასავით მოჭიდავეთა ბრძოლას წინ უსწრებდა საკულტო რიტუალი. ისინი სარბიელზე ბაკბაკითა და იქ მარილის მოყრით მიწისქვეშეთიდან ბოროტ სულებს განდევნიდნენ და ტაშის ცემით იმ ღმერთს იხმობდნენ, ვის საპატივცემულოდაც შეჯიბრება ეწყობოდა.

სუმოში ძველთაგანვე იმართებოდა შეჯიბრებები, მაგრამ პირველი საჯარო ორთაბრძოლა და ავსულთა განდევნა 1629 წელს აკარავა შმიიანუსკემ მოაწყო.

მოსავლის აღებასთან, გაზაფხულის დადგომასთან თუ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით წინათ მრავალი შეჯიბრება იმართებოდა. ამის თაობაზე ყველაზე ადრინდელ ცნობებს გვაწვდის ინგლისელი ბერი უილიამ ფიცსტეფანი, რომელიც 1175 წელს დაწერილ თავის „ლონდონის დიდგვაროვანთა ცხოვრების აღწერაში" ცალკე თავს უთმობს იქაური ახალგაზრდობის ფიზიკურ ვარჯიშებს. მასში მოთხრობილია, თუ სხვადასხვა დღესასწაულებზე როგორ ერთობიან მოსწავლეები მამლების ბრძოლით. აღწერილია აღდგომის დღეს წყალზე ნავებით ბრძოლაში გაპაექრება, დალამებამდე გოგონების დაუოკებელი ცეკვა...

იმავე ქრონიკაში აღწერილია ლონდონელი სტუდენტებისა და ახალგაზრდა ხელოსანთა გუნდებს შორის გამართული პირველი საფეხბურთო მატჩი. ამ აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ იმ დროს თამაში და ბრძოლა ჯერ კიდევ განუყოფელი იყო. აქაც, ისე როგორც სოფლელთა სარიტუალო ბურთაობებში, პრაქტიკულად ყველა ჭაბუკი მონაწილეობდა. მათ თამაშის წესები თითქმის არ ჰქონდათ. შეჯიბრებების მიზანი ნახერხით თუ ჩალით გამოტენილი ბურთის კარში შეგდება კი არა, არამედ მისი ფეხის დარტყმით, გაგორებით თუ ხელით განსაზღვრული მიჯნის მიღმა გატანა იყო.

ქალაქებში ასეთი მასობრივი დაპირისპირებები დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული, რის გამოც იგი ხშირად არეულობით, მუშტი-კრივით და მკვლელობითაც თავდებოდა. ამიტომ ლონდონში, პარიზში, ნიურნბერგში თუ სხვაგან მსგავსი თამაშები აკრძალეს, რაც სულ უფრო გაამკაცრეს. მაგალითად, 1313 წელს ინგლისის მეფე ედუარდ მეორემ ლონდონის ქუჩებში ფეხბურთის თამაში აკრძალა და კანონის დამრღვევთ ჯარიმა დააკისრა. მერე, 1349 წელს, ედუარდ III კანონის დამრღვევთ ჯარიმა აღარ აკმარა და დატუსაღება შემოიღო. 1389 წელს რიჩარდ III უფრო შორს წავიდა და განსაკუთრებული შემთხვევისთვის სიკვდილით დასჯაც დააწესა, მაგრამ მათი, ისე როგორც ინგლისის სხვა მეფეთა: ჰენრი IV(1401წ.), ჰენრი V(1415), თუ იაკობIV (1471) აკრძალვები უნაყოფო გამოდგა, რადგან თავად ბურთაობა აღმოჩნდა უკვდავი.

ვალტერ სკოტმა თავის ისტორიულ რომანში „რობ როი" დაწვრილებით აღწერა მასობრივი ფეხბურთი. მართალია, ფეხბურთის სამშობლოდ ინგლისი ითვლება, მაგრამ მასზე პატენტს ბევრი ქვეყანა იჩემებს.

მართლაც, კაცმა არ იცის, ვინ და როდის გამოიგონა ეს დღეს ეგზომ პოპულარული თამაში. ცნობილია, რომ რომაელი ლეგიონერები, რომლებმაც ქრისტეშობამდე ბრიტანეთის კუნძულები დაიპყრეს, თავს ფუჩეჩით გამოტენილი ბურთის თამაშით იქცევდნენ, რასაც ისინი გარპრასტრუს უწოდებდნენ.

ეგვიპტის ფარაონთა განსასვენებლების კედლებზე გამოსახულია ფეხბურთის თამაშის მომენტები. მსგავსი ფრაგმენტებია აღბეჭდილი ძველბერძენთა ამფორებზეც.

ფეხბურთის გამოგონებაზე პრეტენზიას აცხადებენ ჩინელებიც, რომლებიც ირწმუნებიან, თანამედროვე ფეხბურთის მსგავსად ჩვენი წინაპრები 2 000 წლის წინათაც თამაშობდნენო.

ყოველივე ამაზე ინგლისელები ამბობენ, რის ფარაონთა აკლდამების ნახატები, რა ამფორა, ჩინეთი თუ საფრანგეთი, ფეხბურთი რომ ჩვენი გამოგონებულია, ეს ისედაც ცხადიაო.

და მაინც, უილიამ ფიცსტეფანის აღწერამდე და მით უმეტეს ვალტერ სკოტის მონათხრობამდე საქართველოშიც იცოდნენ ბურთაობა, რასაც „ლელობურთს" უწოდებდნენ და მას დღესაც თამაშობენ. იგი ძალზე ჰგავს ინგლისელი ბერის, მერე მწერლის მიერ აღწერილ მასობრივ ფეხბურთს.



აცტეკთა „ჭადოქრობა"

ჩვენი ამგვარი ფეხბურთისა და ევროპელთა თამაშის ფესვები წარმართული ხანის წესჩვეულებებიდან იღებს სათავეს, რაც „ეშმაკის განდევნასთანაა" დაკავშირებული და არა „სოფლის მასობრივი სპორტის" იდილიასთან ან გოლის გულისთვის ამტყდარ მასობრივ ჩხუბთან, სადაც სარბიელზე არც ბურთის გატანის წყურვილით გამოდიოდნენ და არც დაგეგმილი მუშტიკრივისთვის იკაპიწებდნენ მკლავებს.

ამგვარი მასობრივი ბურთაობის არსი იყო ზამთრის ან ზაფხულის ბოლოს ერთერთ განსაზღვრულ დღეს ავადმყოფობის, სტიქიური ან სხვა რამ უბედურების მომტანი ბოროტების ტყავის გარსში ჩატენვა და მისი სოფლიდან გადაგდება. ამ მიზნით ნათლისღებას ან საკვირაოდ ეკლესიაში ლოცვის მერე მთელი მოსახლეობა დიდიან პატარიანად ასეთ ბურთს სოფლის მიღმა აგდებდა. ცხადია, სოფლის მიღმა გადაგდებულ ბურთს მეზობელი სოფლელები ელოდნენ, რათა ბოროტება მათთან არ ჩავარდნილიყო და გაავთრებულნი ახლა ისინი ეტაკებოდნენ მეტოქეს ბურთში განსახიერებული ბოროტების მოსაშორებლად.

ბურთის ხელში ჩაგდებას და მისი ფეხებით ჯგლეთას ორივე მხარის თითოეული წევრი თავგამოდებით ცდილობდა, რადგან მათი რწმენით, რაც მაგრად დასცხებდნენ ბოროტებას, მით მეტად მოიშორებდნენ უბედურებას.

მკვლევართა ვარაუდით, ზოგჯერ ბურთის მაგივრობას მტრის ან სიკვდილით დასჯილის თავიც ასრულებდა.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ დასავლეთევროპელთა მასობრივი ფეხბურთის მოთამაშეთა ცრურწმენის საპირისპიროდ საქართველოში პოპულარული ლელობურთი ეშმაკის, ავსულის ან სხვა რამ ბოროტების განდევნა კი არა, არამედ ცხოველთა მოტაცების თუ სხვა რამ ალაფის ხელში ჩაგდების ინსცენირების რაღაც შერბილებული ვარიანტიაო.

ასეთ ვარაუდთან ახლოს ალბათ ცხენბურთი უფრო, რომელიც ირანიდან ევროპაში ბიზანტიელებისგან და მავრებისგან გავრცელდა. თავდაპირველად ცხენოსანი გუნდები ცოცხალ ცხოველს, ვთქვათ, ცხვარს დასდევდნენ, იჭერდნენ და რაღაც ზღვარს იქით მიაქანებდნენ, რაც შემდგომ თივით გამოტენილი ამ სულიერის ტყავმა შეცვალა. რაკი ცხენბურთი სოფლებს შორის იმართებოდა, სარბიელის ზომაც შესაბამისად ვეება იყო, სიგანე 2-3 კილომეტრს აღემატებოდა, სიგრძე კი 10 კილომეტრს.

ავსულებსა და ბოროტებას ბურთაობით ოკეანის გაღმა, ამერიკაშიც ებრძოდნენ. ბურთაობას აცტეკებისა და მაიას ტომის ხალხთა ცხოვრებაშიც უდიდესი ადგილი ეკავა. ისინი წელიწადის სხვადასხვა დროებისადმი მიძღვნილ ზეიმებზე თუ გამარჯვების დღესასწაულებზეც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ბურთაობაში, რბენაში, ჭიდაობაში, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ გამარჯვებული დამარცხებულს მსხვერპლად სწირავდა. ერთ-ერთი ასეთი რიტუალური დღესასწაული, რომელსაც ტლახლი ეწოდებოდა, მისი მხილველის, XVII საუკუნის ესპანელი ისტორიკოსის ანტონიო დე ხერერას აზრით, გაზაფხულის დადგომას ეძღვნებოდა.

ამ ესპანელის აღწერის მიხედვით, ბურთაობაში ერთმანეთს დაპირისპირებიან მეომრებისა და ქურუმთა შვიდშვიდკაციანი გუნდები. შეჯიბრების გახსნის უფლება მთავარ ქურუმს ენიჭებოდა. მაიას ტომის ხალხთა რწმენით, ბურთი, რომელიც მაცოცხლებელი წვიმის მომტანი ძლიერი ქარის სიმბოლო იყო, მთავარი ქურუმის მიერ თამაშში შეყვანის მერე თავისი გზისკენ მიემართებოდა. ხალხს სჯეროდა, რომ ბურთი რაც მეტხანს დარჩებოდა ჰაერში, მით კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა მათ ბედზე. თუ ბურთი დედამიწაზე დროზე ადრე დავარდებოდა, ეს გვალვის, სიცივის და სეტყვის მომასწავებელი იყო. ბურთის ფრენის ტრაექტორია მზისა და ვარსკვლავების მოძრაობას განასახიერებდა. ხალხის რწმენით, მზე და ვარსკვლავები ჰორიზონტიდან ისევე გამოჩნდა, როგორც ბურთი ქვის რგოლიდან, სადაც ისინი მის ჩაგდებას ცდილობდნენ.

სარბიელს აქეთ-იქით კედლებზე ჩამომჯდარი ბრბოდან არავის შეეძლო სიცოცხლის გარანტიის მიცემა იმ მოთამაშისთვის, რომელიც თავისი მოუქნელი ბურთაობით თუ უხეირო ჯადოქრობით „უბედურებას" თესდა.

მაგრამ დავბრუნდეთ შუა საუკუნეების ჩვენს ბებერ კონტინენტზე, სადაც დღეს ეგზომ უწყინარი ცეკვა, რომელიც მხიარულობის თანმდევია და სპორტის ერთ-ერთ სახეობაც, წინათ ავსულების განდევნასაც ემსახურებოდა.

X-XI საუკუნეებში ცეკვა, როგორც ბარბაროსული და წარმართული ტრადიციების გადმონაშთი, ქრისტიანულმა ეკლესიამ თავისი კედლებიდან და სასაფლაოებიდანაც განდევნა. ცეკვა ოფიციალურად ნებადართული იყო მხოლოდ ქრისტეშობაზე, ყველიერისა და ნათლისღების დღესასწაულებზე, მაგრამ იგი წმინდა ადგილების მიღმაც კი მხოლოდ რელიგიური სულისკვეთებით შეიძლებოდა.

აკრძალვა XIII საუკუნეში უფრო გამკაცრდა. XVII საუკუნის მიწურულისთვის უნგრეთში ივან კუპალის დღესასწაულზე — 24 ივნისს თუ ვინმეს კოცონის ირგვლივ ცეკვაში ან მასზე გადახტომაში ამხელდნენ, მას ასამართლებდნენ და ჯადოქრობაში ადანაშაულებდნენ. მიუხედავად ამისა, საცეკვაო ისტერიები მაინც იმართებოდა, რაც ომების, ჭირის ეპიდემიებისა და სტიქიური უბედურებების თანმდევი იყო. პირველი ასეთი ისტერია 1233 წელს იტალიაში „შავი სიკვდილის" დროს მოეწყო. მაშინ სოფლელებმა საკუთარი თავის გაწკეპლით, გაშმაგებული კრუნჩხვითი და საცეკვაო მოძრაობებით გრანდიოზული მსვლელობა მოაწყვეს, რითაც სხეულიდან ეპიდემიის განდევნას ცდილობდნენ.

ოთხი წლის მერე, 15 ივნისს ერფურტის შეძლებული ოჯახების ახალგაზრდებმა „ალილუიასთან" დაკავშირებით ქალაქის ჭიშკრიდან არნშტადტის გზაზე დაუოკებელი, ქანცის გაწყვეტამდე ცეკვა-თამაშით, ხტუნვით, სიმღერითა თუ ღრიანცელით მსვლელობები მოაწყვეს. მსგავსი საცეკვაო და კოცონზე გადახტომის ისტერიები წმინდა იოანეს დღეს სხვა ადგილებშიც მოეწყო.

არაერთი საცეკვაო ისტერია მოეწყო სტრასბურგშიც, სადაც წკეპლით საკუთარი სხეულის გვემითა და ცეკვა-თამაშით აღგზნებული ბრბო წმინდა ვიტას ტაძარში იყრიდა თავს. იქ ლოცვებითა და საორღანო მუსიკის მეშვეობით ეშმაკის განდევნის მიუხედავად, ექსტაზში შესული ბრბო თავისას არ იშლიდა და მანჭვა-გრეხვითა თუ ცახცახით როკვას განაგრძობდა. იმ დღეს სწორედ ასეთი ისტერიის გამო დაიბადა გამოთქმა „წმინდა ვიტას ცეკვა".

„ალილუია"! ავსულთა განსადევნად ეს ღვთის სადიდებელი შეძახილი დღესაც თავდავიწყებით გაისმის ამერიკის ტაძრებში, სადაც ეგზომ პოპულარულია სპირიჩუელი.

**ავთანდილ ბურასაყვილი**

## ჭიდაობა

### ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი სტილი. ბაქო

# კურტანიძე ფინალშია

## მინდორაშვილს ბრინჯაო

**გუშინ** ბაქოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენთვის საინტერესო ორი რამ მოხდა. პირველი ის რომ, ქართველთაგან ბაქოში ყველაზე სახელიანმა ელდარ კურტანიძემ (96კგ) ჰოლანდიის სახელით მოჭიდავე გიორგი ტორჩინავას (7:5), აზერბაიჯანელი ბისალ მუსლიმოვის (6:0) და ლატვიელი იგორს სამუსონოკსის (4:0) ძლევით ფინალისკენ გაიკვლია გზა და იქაური შედეგის მიუხედავად ვერცხლის მედალი დაიბევა. ფინალი დღეს გაიმართება. კურტანიძის მეტოქე უნგრელი ზოლტან ფარკასს და თურქ ფათიჰ ჩაკიროღლუს შორის გამარჯვებული იქნება.

მეორე ამბავი ბრინჯაოსია. გურჯაანელმა რევაზ მინდორაშვილმა (84კგ) მესამე მეტოქე ლატვიელი იურიუს იანოვიცი კი დაამარცხა (8:0), მაგრამ ფინალისკენ მიმავალს გზა ბელარუსმა ბეიდულათ მუსაევმა გადუღობა. გურჯაანელმა მაკედონიელ მაგომედ იბრაგიმოვს მშრალად 4:0 მოუგო და ევროპაში მესამე გახდა.

გუშინვე დაასრულეს ტურნირი გორელებმა შალვა მუზიაშვილმა (66კგ) და ბესიკ გოჩაშვილმა (55კგ). პირველმა მეხუთე, ხოლო მეორემ მეშვიდე ადგილები მოიპოვეს.

დღეს ქართული ყულაბა შეიძლება კიდევ ერთი ბრინჯაოთი შეივსოს. ეს მაშინ მოხდება, თუ სოხუმელი გურამ მჭედლიძე რუს მაგომედ ისაგაშიევისა და აზერბაიჯანელი ელხან ალახვერდიევის შორის მოგებულს მეტ ქულას აართმევს. სხვათაგან გუშინ იჭიდავეს სოხუმელმა გიორგი ხარებავამ (60კგ) და დავით ოთიაშვილმა (მძიმე). ხარებავამ რუმინელ პეტრუ ტორჩას (6:4) და ფრანგ დავიდ ლეპრენს (8:5) მოუგო და მედლებისთვის განაგრძობს ბრძოლას, ისევე როგორც ოთიაშვილი, ვინაც ჯერ სლოვაკი პეტერ პეჩა (3:0) მერე კი იტალიელი ფრანსისკო პეტა (4:0) დაამარცხა.

**ბაჩო სვანიძე**

## რაგბი

# ნუ იცოტავებ შვიდკაცას

## ბორჯღალოსნები მსოფლიო სერიალს დაუბრუნდნენ

**საქართველოში** შვიდკაცა რაგბის თამაში ექვსი წლის წინ დაიწყეს. რაგბის ამ სახეობას ჩვენში მალევე აულეს ალღო და წარმატებამაც არ დააყოვნა — 2000 წლის მოშვიდკაცეთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა დებიუტანტის კვალობაზე იყოჩაღა და მე-10 ადგილი დაიკავა. მას მერე ბორჯღალოსნებმა შვიდკაცას უგანეს, განახევრებული რაგბის თამაშით ხელდახელ ბურთაობა უკვე დავამულამეთო და ასპარეზი ახალბედებს დაუთმეს. საქართველოში შვიდკაცასადმი ინტერესი განელდა. ქართველობაც აქაიქ თუ გამოჩნდა საშვიდკაცო ტურნირებზე. მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ ბორჯღალოსანთა გადაწყვეტილება ნაჩქარევი იყო. ამას კლოდ სორელიც მიხვდა და მსოფლიო სერიისთვის ძველი გვარდია შეკრიბა.

24-25 მაისს ლონდონში, 1-2 ივნისს კი კარდიფში მსოფლიოს თასის სერიები გაიმართება. საქართველოს ნაკრები ბრიტანეთის ორივე ქალაქში ითამაშებს. საამტურნიროდ ჩვენი მორაგბეები მონპელიეს მახლობლად, „გრან მოლეს" ბაზაზე მოემზადებიან, 18 მაისს კი მონპელიეშივე გასამართ საერთაშორისო შეჯიბრში ითამაშებენ. კლოდ სორელმა შეკრებაზე 15 ბორჯღალოსანს უხმო, რომელთაგან ოთხი საქართველოში ბურთაობს, ყველა დანარჩენი კი ლეგიონერია. ვინიცობაა, სამზადისისას ვინმე დაშავდეს ან სორელს მავანის სათამაშო ფორმა არ მოეწონოს, მარქაფში კიდევ ორი მორაგბეა: თბილისის ლოკომოტიველი ლექსო გუგავა და ტულონელი აქვსენტი გიორგაძე. სორელმა კი ესენი გამოიძახა: *ვასილ აბაშიძე (ლოკომოტივი), ირაკლი აბუსერიძე (ლოკომოტივი), დავით ბოლგაშვილი (მაზამე), ოთარ ელოშვილი (ლოკომოტივი), კახა ალანია (ლოკომოტივი), ირაკლი გიორგაძე (ტულონი), ვასილ კაცაძე (გრენობლი), გია ლაბაძე (ტულონი), ირაკლი მაჩხანელი (შატორუ), გიორგი ჩხაიძე (სენ-ნაზერი), თედო ზიბზიბაძე (მაზამე), გრიგოლ იაშვილი (მეტრორასინგი), მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი)*

**ბაჩო სვანიძე**

| 24 მაისი. ლონდონი, თვიქენემი |
|---|
| ახ. ზელანდია — საქართველო |
| ავსტრალია — საქართველო |
| საქართველო — პორტუგალია |

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | ინგლისი | ს. აფრიკა | ფიჯი |
| ავსტრალია | სამოა | არგენტინა | უელსი |
| საქართველო | კანადა | საფრანგეთი | შოტლანდია |
| პორტუგალია | ესპანეთი | ირლანდია | რუსეთი |

## ხელბურთი

### ჩემპიონთა ლიგა, ვაჟები

ფინალი

**მაგდებურგი (გერმანია) 21:23; 30:25 ფოტექსი (უნგრეთი)**

# დებიუტანტების ფინალი

**დასრულდა** ვაჟ ხელბურთელთა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის — ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. 16-გუნდიან ჯგუფურ-პლეიოფურ მარათონს გადამწყვეტ სტადიაზე დებიუტანტები, უნგრეთის „ფოტექსი" და გერმანიის „მაგდებურგი" შემორჩნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები წინასწარ ეტაპზე ერთ ჯგუფში ასპარეზობდნენ და ურთიერთშეხვედრებში ქულები თანაბრად გაიყვეს, დანარჩენ მეტოქეებს კი დიდი უპირატესობით სძლიეს, მერე მეოთხედფინალ-ნახევარფინალური ზღუდეც დამაჯერებლად გადალახეს და ფინალში ისევ ერთმანეთს შეებნენ.

პირველი გადამწყვეტი შერკინება უნგრელებმა შინ ორბურთიანი სხვაობით მოიგეს, რაც განმეორებით მატჩში საერთო წარმატების მყარი გარანტია ვერ იყო. ასეც მოხდა, ევროპის 2001 წლის საკლუბო ჩემპიონმა შინ, მაგდებურგში რვა ათასი ქომაგის თვალწინ დამაჯერებელი, ხუთბურთიანი რევანში აიღო და პირველად დაეუფლა კონტინენტის უმთავრეს საკლუბო ჯილდოს.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო „მაგდებურგის" ისლანდიელი ბომბარდირი ოლაფურ სტეფანსონი, რომელმაც ორ ფინალურ შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა.

## ჰოკეი

### NHL სტენლის თასი
### მეოთხედფინალი ოთხ მოგებამდე

# ნუ მაქებთ!

## ჰაშეკი შეცდომებს ასწორებს



ოტაველთა მეკარე პატრიკ ლალიმმა პლეი ოფში მეოთხედ შეინახა კარი მშრალად, ამჯერად ტორონტოელებთან

2 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ტორონტო | 0 |
| ოტავა | 1 |

**ტორონტო 0:5 ოტავა 0:3 0:2 0:0**

**0:1 ჰავლატი (8), 0:2 ბონკი (10), 0:3 ჰნიდი (12), 0:4 ტ. ჟუიტი (22), 0:5 ალფრედსონი (31)**

ორი ონტარიოელი „მოსისხლის" ომში ახალი ერა ოტავას გამარჯვებით დაიწყო. აქამდე შინდაუმარცხებელი ტორონტო პრინციპულ მეტოქესთან სახლში განადგურდა.

დედაქალაქელებმა შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს, პირველივე წუთებიდან გაბატონდნენ ყინულზე და ხუთი უპასუხო შაიბა შეუგდეს.

წარმოუდგენელია, მაგრამ ტორონტოს ცნობილმა წამქეზებლებმა — ტაი დომიმ, დარსი ტაკერმა და სხვებმა ერთი სერიოზული შეხლა-შემოხლაც ვერ გამართეს, მეტოქის კართან რაიმე სახიფათო მომენტის შესახებ ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ტორონტოელთა ინერტულობა მხოლოდ იმით თუ აიხსნება, რომ აილენდერსთან ზემძიმე სერიის შემდეგ ხეირიანად ვერ დაისვენეს.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 1 |
| სენტ ლუისი | 0 |

**დეტროიტი 2:0 სენტ ლუისი 1:0 1:0 0:0**

**1:0 დაციუკი (8), 2:0 ჰალი (40)**

გინდა თასის მოგება? მაშ, თავი გადადე. დეტროიტის დიდმა მეკარემ დომინიკ ჰაშეკმა წინა სერიაში დაშვებული შეცდომები გუშინწინ სენტ ლუისთან გამოისყიდა. ისე, ბევრი სამუშაო არც ჰქონია, სულ 23 დარტყმა მოიგერია, მაგრამ სამ-ოთხ მომენტში ჩეხმა ჩვეულად იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან.

„დღეს ბედი მწყალობდა და დაცვაც ჩინებულად მეხმარებოდა. ასე რომ, ძალიან ნუ მაქებთ" — ჰაშეკი მატჩის შემდეგ მოკრძალებული იყო. შეხვედრის მეორე გმირი დეტროიტის კიდევ ერთი „მოხუცი" ბრეტ ჰალი გახდა. წინა მატჩში შესრულებული ჰეთ თრიქის შემდეგ „ოქროს ბრეტი" მადაზე მოვიდა და როგორც კი შანსი მიეცა, მაშინვე გამოიყენა.

### მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი. 26 აპრილი — 11 მაისი





მიროსლავ შატანმა და მისმა სლოვაკმა თანაგუნდელებმა შვედთა მეკარე ტომი სალოს დღე ჩაუმწარეს

| 2 მაისი. საკვალიფიკაციო რაუნდი |
|---|
| **E ჯგუფი** |
| **კანადა 3:1 გერმანია 1:1 1:0 1:0** |
| 1:0 კომრი (6), 1:1 ბაინცი (13), 2:1 რ. სმითი (40), 3:1 მაკდონალდი (52) |
| **ჩეხეთი 3:1 ლატვია 2:0 0:0 1:1** |
| 1:0 იაგრი (1), 2:0 პროხაზკა (8), 2:1 ციპრუსი (46), 3:1 კუბინა (60) |
| **აშშ 3:0 შვეიცარია 2:0 1:0 0:0** |
| 1:0 მერფი (6), 2:0 პარკი (20), 3:0 კონოვალჩუკი (21) |
| **F ჯგუფი** |
| **ფინეთი 3:1 ავსტრია 1:0 0:0 2:1** |
| 1:0 ლუდმანი (16), 2:0 ტიმონენი (45), 3:0 კოივისტო (55), 3:1 ზეცინგერი (69) |
| **შვედეთი 1:2 სლოვაკეთი 1:0 0:0 0:2** |
| 1:0 ნ. ანდერსონი (6), 1:1 შატანი (48), 1:2 მილო (60) |
| მე 13-16 ადგილებისთვის |
| **პოლონეთი 5:1 იტალია** |
| **სლოვენია 4:3 იაპონია** |

# სადღაა ჰოკეის თამაში...

ამ თამაშებშიც სამ გოლზე მეტი ვერცერთმა ფავორიტმა გაიტანა. ზოგიერთმა დებიუტშივე სცადა უპირატესობის მოპოვება, რათა შემდეგ ნაკლებ ეჯერვოულა. მაგალითად, ჩეხებმა მე-8 წუთზე მეორედ გაუტანეს ლატვიელებს, მაგრამ ნერვიულობას მაინც ვერ ასცდნენ, რაც საკუთარ უხეშობას უნდა დააბრალონ. ერთი და იგივე უწესო ილეთის გამო (ზურგში ხელის კვრა) ერთბაშად სამმა (!) ჩეხმა მიიღო 12-წუთიანი ჯარიმა, რის შემდეგადაც ბოლომდე ბეწვზე ეკიდა მათი წარმატება.

ფინელებმაც და კანადელებმაც მერე და მერულა გატეხეს მეტოქეთა წინააღმდეგობა. თან თუ გერმანელებისგან ამას ბევრი ელოდა, ავსტრიელების სიმტკიცე საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. ფინელებმა მხოლოდ რიცხვმრავლობაში გატანილი გოლებით იხეირეს, კანადა კი მისია ლიდერის რაიან სმიტის სიჩაუქემ იხსნა.

ასეა თუ ისე, სამივე გრანდმა უკვე გაიძალა მეოთხედფინალში გასვლა (სამივეს 6-6 ქულა დაუგროვდა). აი, შვედებმა ეს ვერ მოახერხეს. რუსებთან წინა მატჩის მსგავსად, მასპინძლები დებიუტშივე დაწინაურდნენ და ცხადია, ძალების დაზოგვა სცადეს მაგრამ სლოვაკებმა მოულოდნელად დიდი მონდომება და ჟინი გამოამჟღავნეს. საბოლოოდ შვედებმა თავად დაუშვეს შეცდომები და ტურნირზე პირველი მარცხი იწვნიეს.

ტურნირზე რამდენიმე ნჰლ-ელის დებიუტი შედგა. ერთ-ერთი კიმ იუნსონია სლოვაკებსაც ძალიან დაეხმარათ მიხალ ჰანდზუსისა და ლადისლავ ნაგის ჩასვლა. აილენდერსელმა მარიუშ ჩერკავსკიიმ გოლით შეტანა წვლილი პოლონელთა გამარჯვებაში. ამ დღეებში შვედეთში კიდევ ერთ სუპერვარსკვლავს ვიხილავთ. პრესა შვედი მარკუს ნესლუნდის ჩამოსვლას იტყობინება.

წავიდა ის დრო, ძლიერები სუსტებს გამანადგურებელი ანგარიშებით რომ ჩაგრავდნენ. სადღაა ჰეთ თრიქები, პოკერები და სხვა ბომბარდირული მიღწევები. ფავორიტები ძლივძლივობით იგებენ და ეს მარტო საერთო დონის გათანაბრების ბრალი როდია. უბრალოდ, ყველა პრაგმატულად აზროვნებს და სანამ ძირითადი მატჩები დაიწყებოდეს, ძალას ზოგავენ. მით უმეტეს, რომ შეჯიბრების სისტემა ამის საშუალებას იძლევა.

| 3 მაისი |
|---|
| **E ჯგუფი** |
| **შვეიცარია 2:3 კანადა** |
| **გერმანია 3:2 ლატვია** |
| **F ჯგუფი** |
| **რუსეთი 3:3 უკრაინა** |
| **სლოვაკეთი 6:3 ავსტრია** |
| მე 13-16 ადგილებისთვის |
| **იაპონია 2:6 იტალია** |
| **პოლონეთი 2:4 სლოვენია** |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფერარის ძუძუმტენი

აი, ეს კოხტა გოგოები, რომელთაც თმები გადმოუყრიათ და ერთობ უხდებათ, „ფერარის" მავან ღონისძიებაზე დააფიქსირა მავანმა ფოტოგრაფმა და უნდა გითხრათ: არც ფოტოგრაფის გვარი ვიცით და არც ამ გოგოთაგან რომელიმესი, რაც ბუნებრივია — მსგავსი სურათების გადაღებისას ადამიანს წესით რაღაცა მაინც უნდა დაავიწყდეს.




REUTERS ფოტოები

# ვარჯიში საქმის დედაა

იაპონელი პოლიციელები, როგორც მრავალი სხვა პროფესიის ხალხი, სამუნდიალო რეპეტიციებს გადიან. ერთი წყება ბიოქიმიური იარაღის გამოყენებისას შესაძლო შემთხვევებს ამუშავებს, სხვები იმას სწავლობენ, ხულიგნებს ცრემლსადენი გაზი როგორ მაიფრქვიონ და მთელი ეს ვარჯიში ხდება ტოკიოს „საიტამას" სტადიონზე, სადაც ინგლისი შვედეთს შეხვდება და ინგლისელი ფანების ამბავი მოგეხსენებათ...



REUTERS ფოტოები






# პლეი ო-ო-ო-ო-ო!

ამ ფოტოთა შინაარსები იქნებ ნაკლებად ამბობდეს ამას, მაგრამ ნბა-ში ახლა პლეი ოფებია გაჩაღებული, რომელიც კალათბურთის მოყვარულთათვის გამოზომილი სიხარულის წყაროა. ყველა რაღაცას გამოელის პლეი ოფისგან, მაგალითად, თამბაქოს ნებივრად მწეველი თვალებმოჭუტული ძია, სახელად რედ აუერბახი, წოდებით ლეგენდარული მწვრთნელი და საქმით „ბოსტონ სელტიქსის" მახვში თვალის ერთი გაკვრით უდარდელად ელის თავისიანთა და ფილადელფიელთა ბოლო, გადამწყვეტ ჯახს. სამხრეთელი სანანტონიოელები „სიეტლის" ძლევას ელიან და ამასობაში თავიანთი მთავარჯილდას ტიმ დანკანის სტატუა შემოუდგამთ მოთხოვნითურთ, აქაოდა, ტიმი უძვირფასესად დაასახელეთო. ხოლო ქვედა სურათზე აშოტილ ახალგაზრდას პლეი ოფთან კავშირი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. 226-სანტიმეტრიანი ჩინელი საოცრება მინგ იაო კალთბურთის ნბა-ელ მცოდნეთ კარგად დასათვალიერებლად მიჰყავთ, რისი შნო აქვსო. შეათვალიერეს, მოეწონათ და ელიან... დრაფტს, რათა იქ ამ ჟირაფზე ტაციაობა გამართონ.

# წაქცეულები

საფრანგეთის ველოთასზე მძიმე ავარიაში მოჰყვა ფრანგი მრბოლი კრისტოფ ორიოლი, დაიმტვრა და ველოც დაამტვრია. ფოტოზე მტკივნეული სცენაა აღბეჭდილი.





REUTERS ფოტოები


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge